# სარბიელი

სპორტული გაზეთი ორშაბათი 10 სექტემბერი 2007 №208 (3131) ფასი 50 თეთრი

# ორკუთხედი მატჩი

## ბლოხინმა სირაძეს შვიდი წელი მოაკლო, სირაძემაც ბლოხინს არცნაკლები მოაკლო



# თავი ასწიეთ, ქართველებო!

## თქვით: არგენტინა არ!

რაგბის მსოფლიოს თასის ვნებები დუღს ფრანგულ მოედნებზე. ტურნირის მესამე დღე მიილია და თითქმის ყველა ბობოლა ვნახეთ საქმეში. დასაწყისით თავისთავად ძნელი და უაზროცაა დასკვნის გამოტანა, მაგრამ ერთი რამ კი თვალსაჩინოა — მსოფლიოს ჩემპიონი ინგლისი აშკარად უსახური და სუსტია — ძლივს მოუგო ამერიკის საშუალო გუნდს მაშინ, როცა სამხრეთელ ბობოლათა სამეულმა საპატიო უპირატესობით დაასრულა გასახურებელი სადებიუტო ჯახები.

ქართველი „ლელოებისთვის" კი მსოფლიოს თასი ხვალიდან იწყება. ჩვენებურები 11 სექტემბერს ლიონში შეერკინებიან ფრანგთა მძლეველ ქინიან და ჯანლონიან არგენტინელებს და, როგორც უკვე ათასჯერ ითქვა, ეცდებიან, სარბიელი თავაწეულებმა დატოვონ.



გუშინ სამხრეთაფრიკელმა ბრაიან ჰაბანამ სამოელებს ოთხი ლელო გაუტანა

AFP ფოტო




AFP ფოტო

# 100აფა: 9.74!

## ჯამაიკა: ადამიანი უფრო სწრაფია

გუშინ მომცრო იტალიურ ქალაქ რიეტიში სასწაული მოხდა! ოსაკას მსოფლიოს ჩემპიონატზე განცდილი სრული კრახის შემდეგ 100 მეტრზე სირბილში მსოფლიო რეკორდსმენი, იამაიკელი ასაფა პაუელი სარბენ ბილიკებს ტრიუმფით დაუბრუნდა. მან სამჯერ დამყარებულ თავისსავე რეკორდს, 9,77 წამს ერთი კი არა, ერთბაშად სამი მეასედი წამი მოაკლო და მისი დანევის ამაოდ მსურველი მსოფლიოს უსწრაფესი ადამიანები მთლად საგონებელში ჩააგდო — 100 მეტრი 9,74 წამში!

# 2008 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. B ჯგუფი

თბილისი. 8 სექტემბერი. 19 საათი. ეროვნული. 25 000

## საქართველო 1:1 უკრაინა

0:1 შელაევი (8), 1:1 სირაძე (88)

| | |
|---|---|
| საქართველო: ლომაია, ღვინიანიძე, ასათიანი, კალაძე, სალუქვაძე, მენთეშაშვილი (ტატანაშვილი 80), ცქიტიშვილი, ჯაკობია (ყენია 62), მარცვალაძე, იაშვილი (სირაძე 62), დემეტრაძე<br>სათადარიგონი: რევიშვილი; ხიზანეიშვილი, კანდელაკი, შაშიაშვილი<br>მწვრთნელი: კლაუს ტოპმიოლერი | უკრაინა: შოვკოვსკი, ეზერსკი, რუსოლი, კუჩერი, შევჩუკი, შელაევი (გლადკი 89), ტიმოშჩუკი, გუსევი, როტანი (გაი 80), ვორონინი (კალინიჩენკო 69), შევჩენკო<br>სათადარიგონი: პიატოვი; ჩიგრინსკი, კრავჩენკო, გრიცაი<br>მწვრთნელი: ოლეგ ბლოხინი |

გაფრთხილება: იაშვილი (51), ცქიტიშვილი (65), როტანი (66), ღვინიანიძე (86), შევჩენკო (90)

მსაჯი: ა. ჰამერი; ფ. კრელო, კ. პოლტგენი; ა. ტუსეინი (ლუქსემბურგი)

# პირველი არაფარერული

## ბლოხინი ცირკმა გააგიჟა

ილია ნანობაშვილი



„18 წლის" დავით სირაძემ 88-ე წუთზე თავურით შოკში ჩააგდო ოლეგ ბლოხინის უკრაინა და ვინძლო, ის ორი ქულა დააკარგვინა, რომელიც ფინალურ ეტაპზე გასვლისთვის დასჭირდება და მწარედ ამოირტყამს ცხვირში. სირაძე გიორგი დემეტრაძის კუთხურიდან ჩაწოდებულს დაუხვდა ყოჩაღად, კუთხური კი ანდრეი რუსოლის ფეხიდან მარცხიანად აჭრილ ბურთს მოჰყვა და ოლეგ ბლოხინმა ესეც დაიტირა, რა იყო იქ საკუთხურო, მოგებული თამაში წყალს გავატანეთო.

„ეს ნამდვილი ცირკი იყო. საქართველოს ნაკრებმა ორი ნახევარმომენტი შექმნა და ფრე გვეთამაშა. სკოლის მოსწავლეებით გაგვიტანეს. ყენია 16 წლისაა, სირაძე, მგონი, 18-ის..." — ბლოხინმა პრესკონფერენციაზე ესეც თქვა და სხვა ბევრიც, მაგრამ გარდა იმისა, რომ სირაძის ასაკში 7 წლით შეცდა, ისიც ავიწყდება, რომ ყველა საგოლე მომენტიდან გოლი არ გადის. და თუ ოლეგ ვლადიმიროვიჩი მაინცდამაინც მომენტებს ჩაუკირკიტებს, ბარემ უკრაინა — საქართველოს შარშანდელი მატჩიც გაიხსენოს, მოსაგები ჰქონდა?

ისე კი, ბლოხინს ნაწილობრივ ვეთანხმებით: უკრაინას სრული კართბლანში ჰქონდა სამი ქულისთვის, მაგრამ სერგეი ნაზარენკოს, ანდრეი შევჩენკოსა და დმიტრი კალინიჩენკოს უზუსტობას უნდა დააბრალოს, ჯგუფიდან გასვლის შანსები რომ გაუმუქდა. და ესეც არ იყოს, არც კლაუს ტოპმიოლერის ნაკრები იყო მოედანზე ლობიოს სარჩევად გასული და 88-ე წუთამდეც შეეძლო გათანაბრება.

ტოპმიოლერის ძირითადი თერთმეტეული სიურპრიზი გამოდგა: ოთარ მარცვალაძე რომ პირველივე წუთიდან იქნებოდა, ეს ვარჯიშებზეც ჩანდა, მაგრამ ხარკოვის „მეტალისტში" უთამაშებელი ლაშა ჯაკობიას მარჯვენა გარემარბად დაყენება უფრო მეტად გვეუცნაურა. წინასწარ ვთქვათ, რომ ვერც მარცვალაძემ და, მით უმეტეს, ვერც ჯაკობიამ იმედები ვერ გაამართლეს. მარცვალაძე მარცხენა ინსაიდი იყო, წინ კი, თავდასხმაში გიორგი დემეტრაძე თამაშობდა, რომელსაც სიღრმიდან ალექსანდრე იაშვილი ეხმარებოდა.

არ იყო ლევან კობიაშვილი, ვისაც ტრავმა ჰქონდა და მისი არყოფნა თამაშის დილას გადაწყდა. ნახევარდაცვაში საყრდენად ზურაბ მენთეშაშვილი იდგა, შეტევებს კი ლევან ცქიტიშვილი იწყებდა. მეკარე გიორგი ლომაიას წინ მარჯვნიდან მარცხნივ მათე ღვინიანიძე-მალხაზ ასათიანი-კახა კალაძე-ლაშა სალუქვაძის ოთხეული გამწესდა და აქვე ვთქვათ, რომ თუ ფლანგელებს ბევრი საქმე ჰქონდათ და წინ წასასვლელად ვერ იცლიდნენ, კალაძე და ასათიანი ადვილად უმკლავდებოდნენ უკრაინელ შემტევებს.

ასათიანი გამოირჩეოდა, მეორე ტაიმის დასაწყისშივე ლამაზი პასით მენთეშაშვილი მეკარესთან პირისპირ დატოვა, მაგრამ ზურაბმა კარგად ვერ დაარტყა, ალექსანდრ შოვკოვსკის კი ბურთი მაინც გაუვარდა ხელიდან და ალექსანდრ კუჩერმა მოასწრო კუთხურზე გადაგდება.

ეს მეორე ტაიმში, როცა უკვე 0:1 იყო. უკრაინელთა გოლი კი ასე გავიდა: მე-8 წუთზე ნაზარენკომ კუთხური მოაწოდა, ბურთს ყველა ასცდა და საჩუქარივით მიუვიდა ოლეგ შელაევს, ვინაც ერთი შეხებით შეაგდო კარში.

ქართველებმა ვერა და ვერ მოაბეს თავი თამაშის დალაგებას, ხშირი იყო უზუსტო პასები და უკრაინელებს დიდი ჯაფა არ ადგებოდათ ცენტრში, სადაც ანატოლი ტიმოშჩუკი ბატონობდა. ბურთიც უმეტესად სტუმრებს ეჭირათ, ოღონდ სახიფათო მათაც არაფერი შეუქმნიათ — ორჯერ ნაზარენკომ და ერთხელ ანდრეი შევჩენკომ, უფრო სწორად, ძველი შევჩენკოს აჩრდილმა დაარტყეს შორიდან. ჩვენების ერთადერთი საპირველტაიმო შანსი ლაშა ჯაკობიას ჰქონდა, როცა იაშვილის მწვავედ ჩაწოდებულს შვიდი-რვა მეტრიდან ჩაუწვა და აცილა.

შესვენების შემდეგ ტოპმიოლერმა გადანაცვლებები მოახდინა: ღვინიანიძე საყრდენ ნახევარმცველად აწია, სალუქვაძე მარცხნიდან მარჯვენა ფლანგზე გადაიყვანა, მარცვალაძე კი სალუქვაძის ადგილას, ფაქტობრივად, მარცხენა მცველად დააყენა. მენთეშაშვილის მომენტზე უკვე ვთქვით და, მერე 20-25 წუთი ძალიან დუნე თამაში გაგრძელდა, რაც უკრაინას აწყობდა, რაკი საფრთხე არანაირად არ ელოდა.

მასპინძელთა თამაში ჭაბუკი ლევან ყენიასა და სირაძის გამოსვლამ ცოტა გაამწვავა, ამათი გათამაშებული კედლით ყენია უკრაინელთა კარისკენ შურდულივით გაიჭრა და საჯარიმოს მისადგომებიდან პირდაპირ შოვკოვსკის მოახვედრა ბურთი. ლევანმა სულ სამ-ოთხჯერ მიიღო ბურთი და აქედან ერთხელ კუთხურიც მოინადირა. ბოლოს ტოპმიოლერი ვაბანკზეც წავიდა და ამერელი დიმიტრი ტატანაშვილი შეიყვანა მარჯვენა გარემარბად.

სადღაც 75-ე წუთიდან უკრაინელები ლომაიას კარს შეეჩვივნენ და ჯერ ნაზარენკოს პასის შემდეგ პირისპირ დარჩენილმა კალინიჩენკომ აცილება მოახერხა, მერე ლომაიამ შევჩენკოს აულო, მესამედ კი ისევ ლომაიამ ნაზარენკოს 7-8 მეტრიდან დარტყმული მოიგერია. სირაძის გოლის შემდეგ უკრაინელები ცენტრიდან რომ იწყებდნენ, შევჩენკო კინაღამ ახრჩობდა ნაზარენკოს, გაგეტანა, ხომ მორჩებოდა ყველაფერიო...

ასე აიღო კლაუს ტოპმიოლერისეულმა საქართველოს ნაკრებმა პირველი არაფარერული ქულა, მაგრამ თამაშის ხარისხი ისევ ძალიან დაბალია — ნაკრები დაულაგებელია, არეულ ფეხბურთს თამაშობს და ძალიან ხშირია მინდორზე არასწორი გადაადგილებები, ტემპის უადგილოდ განელება, კარში დარტყმის ნაცვლად ფლანგზე პასი და შეტევის სიმწვავის დაკარგვა. თვითონ შემადგენლობაც ვერა და ვერ გახდა სტაბილური, ტოპმიოლერმა ვერაფრით მიაგნო ოპტიმალურ ვარიანტს.

დაველოდოთ. წინ კიდევ სამი თამაშია და ეგებ, „სასურველ" მეხუთე ადგილსაც ვეწიოთ.





ნაკრების ორი დებიუტანტი: დიმიტრი ტატანაშვილი და ლევან ყენია

### პრესკონფერენცია

ოლეგ ბლოხინი ძალიან გაბრაზებული იყო და განსაკუთრებით ერთი უკრაინელი ჟურნალისტი (ალბათ, ძველი წყენის გამო) ამოიჩემა — რომ მეკითხები, იტალიასთან თამაშში ცვლილებებს მოვახდენ თუ არა, რა შენი საქმეა, მე ის კაცი არ ვარ, კარნახს ავყვე და თუ მაინცდამაინც შენს ვერსიას მომაწოდებ, მაშინ დადექი მწვრთნელად, ოღონდ წარუმატებლობის შემთხვევაში შენ აგე პასუხიო.

„შეხედეთ ამ კაცს, ისე მიყურებს, თითქოს ვალი მქონდეს მისი" — დაამატა ირონიით ბლოხინმა.

„როგორ შევაფასო თამაში? თქვენ როგორ შეაფასებთ, როცა საქართველოს ნაკრები ორი ნახევარმომენტიდან გოლს გიტანს და მანამდე შენი გუნდი სამ ასპროცენტიან გასატანს ვერ იყენებს. ვერ გავიგე, როგორ მისცეს ჩემმა ფეხბურთელებმა ქართველებს ასე სეირნობის უფლება — დავიჯერო, მათ მოტივაცია არ აქვთ? თუ არ აქვთ, მითხრან და სხვებს ვათამაშებ.

...ისე, კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რომ ძალიან მიკვირს საქართველოს ნაკრების წარუმატებელი თამაში — ეს ნაკრები უკრაინისას შემადგენლობით არ ჩამორჩება და წესით, ჯგუფიდან გასვლისთვის უნდა იბრძოდეს. ეტყობა, შიდა პრობლემებია მიზეზი.

...ჩვენ კვლავ დაგვრჩა შანსები და გადამწყვეტი მატჩი, ალბათ, 12 სექტემბერს გვექნება იტალიასთან.

კლაუს ტოპმიოლერი: დასაწყისშივე სულელური გოლი გავუშვით. როცა ძლიერ გუნდთან თავიდანვე აგებ, მერე ძნელია თამაშის გათანაბრება. ვიტყვი იმასაც, რომ უკრაინამ პირველ ტაიმში დამსახურებულად გაიმარჯვა, მეორეში კი, მეტოქის ორიოდ მომენტს თუ არ ჩავთვლით, ვაჯობეთ და ვფიქრობ, ფრე ლოგიკური შედეგია.

-კობიაშვილის არყოფნამ გეგმები აგვირია და ჯაკობიაც ამიტომ დავაყენე. ეს იყო სათადარიგო სქემა უკრაინასთან სათამაშოდ. ლაშას მთელი კვირა ვაკვირდებოდით და თავადაც გვითხრა, სათამაშოდ მზად ვარო.

...ყენია საქართველოს ნაკრების მომავალია. ხშირად ხდება, 16 წლის ბიჭი ასეთ ძლიერ გუნდთან ოფიციალურ მატჩში თამაშობდეს?! სამწუხაროდ, მატჩის მერე ტრავმებზეც შევიტყვე: სალუქვაძე დაშავდა და ხვალ გავარკვევთ, წამოვა თუ არა აზერბაიჯანში. დემეტრაძეს კი უფრო სერიოზულად აქვს საქმე და არაა გამორიცხული, ოპერაცია დასჭირდეს.

...ასათიანის მცველად დაყენება იძულებითი ნაბიჯი არ ყოფილა. თამაშამდეც ვთქვი, რომ ასათიან-კალაძის წყვილი ერთ-ერთი საუკეთესოა ევროპაში.

...აზერბაიჯანში არ გვეყოლებიან კალაძე, დემეტრაძე, კობიაშვილი, ღვინიანიძე, ლომაია, შაშიაშვილი და სირაძე. იქ ექსპერიმენტულ შემადგენლობას ვათამაშებ და აქვე გეტყვით, რომ გიორგი მაკარიძე და ნუკრი რევიშვილი თითო ტაიმს ჩადგებიან კარში. ღვინიანიძე ახალგაზრდულ ნაკრებს გაჰყვება ესპანეთში სათამაშოდ, კანკავას კი აზერბაიჯანში წავიყვანთ.



## გიო ახვლედიანის სვეტი შერეული

ხვალ მღელვარე დღე გველის: ამაღამ საქართველოს რაგბის გუნდი მსოფლიოს თასის ბრძოლაში შედის და თუმცა მსოფლიოს თასისთვის არ იბრძვის, მაგრამ რაგბიში იმდენად კრისტალიზებულია ყველაფერი, რომ ბრძოლაში შესვლაც კი სიკეთეა.

იმას იქით კი შენზე ჰკიდია.

რაგბიში მარცხი სირცხვილი არ არის, ჩვენს საყვარელ ფეხბურთში კი ზოგჯერ გამარჯვებაც სამარცხვინოა ხოლმე.

ფეხბურთი სულ სხვა შესაძლებლობების, გაქანების, წარმოსახვის და მუსიკის ამბავია და ახლა ამ ორი, ერთ დროს ერთი ბურთაობის შედარება-მაღალდაბლობის ახსნას ნამდვილად ვერ მოვყვები. უბრალოდ, შაბათს ჩვენი ნაკრები თამაშობდა უკრაინელთა წინააღმდეგ და ის კი მოახდინა, რომ ორი ქულა აართვა.

მე რომ მკითხოთ, ბლოხინის უკრაინას ბეინჰაკერის პოლონეთი სჯობს, ჩვენი ნაკრები კი, რომელიც მორიგ ციკლს ასრულებს, კვლავაც დიდ ჭიშკართან ატუზულია და ახალი სანაკრებო სეზონიდან, გაისამდროს რომ უნდა დაიწყოს, რას მოველოდე, დიდად ვერ ვხვდები. იმას, რასაც ჩვეულებრივ, თუ საბოლოოდ განახლებულ გუნდს, რომელშიც ორიოდე ვეტერანი, კარგი, ვარსკვლავი დარჩება?

შაბათს თამაში იყო, ჩვეულებრივი თამაში... რაც ამ ციკლში შინ ითამაშა ნაკრებმა, მე ყველაზე მეტად იტალიასთან წაგება დამამახსოვრდა. წინ კიდევაა სათამაშო, მაგრამ თვალშისაცემი ცვლილებები მოსალოდნელი არ არის. ეგებ უფრო თამამად შემოვიდნენ ახალგაზრდები და ესაა. ცოტა მოსაწყენია ეს ამბავი: ციკლის მეორე ნახევრის შემოდგომები. სევდიანიც კი. ერთხელ არ ყოფილა, რომ რაღაც გადამწყვეტი ხდებოდეს. იყო, რომ იტალიას ქულა ავართვით ოდესღაც და გადათამაშებაში გავუშვით. ჩვენ რა?

მაგრამ ხვალ რაგბის ნაკრები საომრად გადის მძლე არგენტინის წინააღმდეგ. ამ შემთხვევაში კი ვიცი, რასაც უნდა ველოდო. რაც უნდა წავაგოთ, წამხდარი და დაჩაგრული მაინც არ გამოვჩნდებით. აქ ოსტატობას ხასიათი ფარავს.

# გვიხაროდეს?

## ქუთაისო ჩემო, გამოუშვი მერსედესი

**ადრე**, როცა საქართველოს ნაკრები იწყებოდა, ფედერაციის ერთმა მაღალჩინოსანმა თქვა, ვიდრე ქუთაისის ავტოქარხანა „მერსედესის" წარმოებას არ დაიწყებს, გერმანიის და მისნაირ ბობოლა ნაკრებებს რატომ და როგორ უნდა მოვუგოთო...

ამ სიტყვებს მაშინ შესაბამისი რეაქცია მოჰყვა და „სარბიელშიც" არაერთი მწვავე წერილ-პასუხიც გამოქვეყნდა. თუმცა ფედერაციისთვის მაშინ სულ ერთი იყო, რას წერდა პრესა და რას ამბობდა ხალხი, ისინი, ვინც ქართულ ფეხბურთზე იყვნენ პასუხისმგებლები, გამუდმებით იმეორებდნენ და ამტკიცებდნენ, რომ იმ კაცის შეხედულება ჩვენი ფეხბურთის მომავალზე სწორია და ქუთაისმა მართლა „მერსედესი" უნდა აკეთოს, ჩვენებმა რომ დიდ გუნდებს მოუგონ. აი, ასე ფიქრობდნენ ჩვენი ფეხბურთის მაშინდელი მამები და ნელნელა აყალიბებდნენ წაგებულის ფსიქოლოგიას, იმას, რაზეც დღესაც ბევრს ვლაპარაკობთ და რაც გუშინწინაც გამოჩნდა.

...1997 წლის აპრილში საქართველოს ნაკრებმა „უემბლიზე" ინგლისთან 0:2 წააგო. ჩვენებმა მაშინ მასპინძელთა კარისკენ სულ ერთხელ თუ ორჯერ დაარტყეს და ისე ჩანდა, რომ ქართველებისთვის დიდი ანგარიშით არწაგება უფრო იქნებოდა წარმატება, ვიდრე ქულის მოპოვება. მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე „სარბიელის" ჟურნალისტმა საქართველოს ნაკრების მწვრთნელს ჰკითხა კიდეც, ასეთი ანგარიშით წაგებისთვის პრემია ხომ არ იყო დაწესებულიო. ამ კითხვას მაშინ შელაპარაკება მოჰყვა... ეს ამბავი კი გუშინწინდელი მატჩის შემდეგ გამახსენდა და ნაკრების ამჟამინდელი მწვრთნელის მისამართით ჩემი კოლეგის მაშინდელი კითხვის გამეორების სურვილიც გამიჩნდა. თუმცა მერე გადავიფიქრე, მწვრთნელისა და ფედერაციის ხელმძღვანელობის გარდა უკრაინასთან საშინაო ფრეს ბიჭ-ბუჭობაც გაეხარებინა და პრესკონფერენციასაც საერთოდ აღარ დავსწრებივარ. სამაგიეროდ კი, დიდუბის ქუჩებში ამ ბიჭ-ბუჭობის მოწყობილი ზეიმი ვნახე.

ერთი კითხვა საქართველოს ნაკრების მწვრთნელებს, ფეხბურთელებს, ფედერაციის ხელმძღვანელობასა და იმ ბიჭ-ბუჭებს: რაზე გაიხარდათ?

უკრაინასთან საშინაო ფრე თუ თქვენთვის ასეთი სასიხარულოა, გთხოვთ, ემოციებს სახალხოდ, შუა მოედანზე ნუ გამოხატავთ და ამით სერიოზულ ქომაგებს კიდევ ნუ გააღიზიანებთ. თუ მაინცდამაინც, გასახდელში იზეიმეთ... უკრაინა ერთი ჩვეულებრივი გუნდია და მის დამარცხებას, ისევე, როგორც ბობოლების დამარცხებას, ქუთაისში „მერსედესის" აწყობა არ სჭირდება. მოგებას კარგი თამაში სჭირდება, საშინაო ფრეს კი სიხარული არ უხდება... კარგი იქნება, ამას სამომავლოდ თუ გაითვალისწინებთ. ძველ შეცდომებს ნუ გაიმეორებთ. ჩვენ მოგება გვიხარია, თქვენ?!

**ქობა ინასარიძე**

# ნეტა რა გვარი ხარ, ჭკუა-ნამუს თხელო?

საქართველო — უკრაინის მატჩის თაობაზე, ცხადია, უკრაინელთა გამოხმაურებაც გვაინტერესებდა და ინტერნეტში ძიებისას ვებგვერდ www.sport.com.ua-ში ასეთი სიტყვებს წავაწყდით: **Банальный угловой, никто не держит Давида Сирадзе, который бьет головой с линии вратарской. Что и говорить, над фамилией этого футболиста, сообразно ситуации можно издеваться долго. Гораздо хуже, что для этого есть повод, и этот гол может стоить нам очень дорого.**

რა უნდა ამის დამწერს, ვერ გავიგეთ? გვარს თუ დასცინებ, კაცსაც დასცინებ, კაცის დამცინავს კი ჟურნალისტიკაში არაფერი ესაქმება.

**ქობა ინასარიძე**

# სტარტეგი შედგა

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები ყაზახებთან გამარჯვების შემდეგ ესპანეთს ესტუმრება და 11 სექტემბერს ევრო 2009-ის მეოთხე შესარჩევ მატჩს გამართავს. შეგახსენებთ, რომ ამ გუნდებმა თბილისში უკვე ითამაშეს და სტუმრებმა 1:0 იმარჯვეს. პირინეის პეტარ სეგრტი შესუსტებულ შემადგენლობას იახლებს — დააკლდებიან ყაზახებთან დაშავებული ბორჯომელი შოთა გრიგალაშვილი და დისკვალიფიცირებული ზესტაფონელი გიორგი ხიდეშელი. მათ ნაცვლად სეგრტმა ბოლნისელი გიორგი თავბერიძე და ლიტვურ „ვეტრაში" მოთამაშე ვახტანგ კვარაცხელია იხმო, ეროვნული ნაკრებიდან კი გუნდს მათე ლვინიანიძე დაემატა. საბოლოოდ, ანდალუზიურ ქალაქ ალმუნეკარში წამსვლელთა სია ასეთია:

**მეკარეები:** *რევაზ თევდორაძე (მერანი), როინ კვასხვაძე (ზესტაფონი);*

**მცველები:** *უჩა ლობჯანიძე (ზესტაფონი), გულვერდ თომაშვილი, გურამ კაშია (ორივე დინამო), გიორგი ელბაქიძე (ამერი), გიორგი ფოფხაძე (ვიბორგი, დანია), გიორგი თავბერიძე (სიონი), მათე ლვინიანიძე (მიუნხენ 1860, გერმანია);*

**ნახევარმცველები:** *გიორგი ნავალოვსკი (ოლიმპი), მურთაზ დაუშვილი (ზესტაფონი), თემურ აფრიამაშვილი (მესხეთი), ირაკლი ჩირიკაშვილი, სანდრო კობახიძე (ორივე დინამო), ამირან სანაია (ლე მანი, საფრანგეთი);*

**თავდამსხმელები:** *ბექა გოცირიძე (ზესტაფონი), ვლადიმერ დვალიშვილი (ოლიმპი), ვახტანგ კვარაცხელია (ვეტრა, ლიტვა), რევაზ ბარაბაძე (კარლ ცაისი, გერმანია), გიორგი მერებაშვილი (დინამო).*

**მიხეილ ჟორჟოლიანი**



დიდიე ოვონო

# გაბონელი ქართველები სპილოების წინააღმდეგ

**აფრიკის** თასის შესარჩევ ციკლში ალენ ჟირესის გაბონი შინ 0:0 გაეყარა კონტინენტის ალბათ საუკეთესო ნაკრებს — კოტ დივუარს. „სპილოებს" გერმანელი ული შტილიკე წვრთნის და ბევრს 1982 წლის მუნდიალი გაახსენდებოდა, როცა ჟირესის საფრანგეთმა შტილიკეს გფრ-სთან პენალტებით წააგო ულამაზეს და უდრამატულეს ნახევარფინალში.

ჩვენთვის კი გაბონი-კოტ დივუარი იმით იყო საინტერესო, რომ მასპინძლებს მინდორზე ჰყავდათ თბილისის „დინამოს" მეკარე დიდიე ოვონო, „ოლიმპის" მცველი ერნესტ აკუასაგა და „ზესტაფონის" ნახევარმცველი პოლ კესანი. ოვონომ და აკუასაგამ სრულად ითამაშეს, კესანი კი მატჩის მიწურულს შეცვალეს.

**ილია ნანობაშვილი**

# ამხანაგური, მაგრამ სანახავი

## კლაუს ტოპმიოლერმა ოთხ ამერელს უხმო



**საქართველოს** ჩემპიონატში მცირეხნიანი პაუზაა. „ამერმა" და „ზესტაფონმა" არ იუქმეს და გუშინ გლდანში ამხანაგურად ითამაშეს. ფეხბურთელები ორივე გუნდს აკლდა: ოთხ ამერელს — დიმიტრი ტატანაშვილს, დავით ბოლქვაძეს, გიორგი ლეკანოსიძეს და გრიგოლ დოლიძეს კლაუს ტოპმიოლერმა 12 სექტემბერს აზერბაიჯანის ნაკრებთან სათამაშოდ უხმო, „ზესტაფონს" კი გაბონელი პოლ კესანი და ბექა გოცირიძე არ ჰყავდა. აქვე ვთქვათ, რომ „ზესტაფონში" დებიუტი ჰქონდა გაბონელ თავდამსხმელ ეტიენ ბიტოოს, რომელმაც საკმაოდ კარგი შთაბეჭდილება დატოვა.

პრინციპული მეტოქეების ამხანაგურიც კი ხისტი, უხვგოლიანი და თვალსასეირო გამოდგა. პირველი გოლი მართლაც ლამაზი იყო. როინ ონიანმა გვარიანი მანძილი გაირბინა ბურთიანად და გოგი ფიფიას გადააწოდა, მან გიორგი ჭელიძეს, რომელმაც ბურთი „ამერის" კარის ცხრიანში შეაგორა. ზესტაფონელთა მესამე გოლიც კარგი იყო: კახა ჩხეტიანმა გოგი ფიფია მოძებნა, მან კი რამდენიმე ამერელი კოხტად ჩამოიცილა და აუღებლად გაიტანა.

მესხი-ჯელაძე-გოცირიძის კარგი კომბინაცია გოლად რევაზ გოცირიძემ აქცია და ანგარიშიც 3:2 გახდა. მატჩის ბოლო გოლი კი ასე გავიდა — გოცირიძე მაკრატელას ურტყამს, ბურთი ხარიხას ხვდება, გადმოვარდნილთან სხვებზე ადრე ბაჩანა ცხადაძე გაჩნდა და თავითაც გაიტანა. სამსამი ბურთი ხომ გაიტანეს და, მეტოქეებს ერთი ამდენის გატანაც შეეძლოთ.

**ამერი:** *ნადირაშვილი (ქვაჩახია 46), დავითნიძე, კობაური, დიღავა, ჯელაძე, კაკაშვილი, ალავიძე (ცხადაძე 46), მესხი, დობროვოლსკი, დავითაშვილი (ვარდოსანიძე 83), გოცირიძე*

**ზესტაფონი:** *ქანტურია, თოდუა, დონაძე, საჯაია, კ. ჩხეტიანი (ქორიძე 48), ჟონატასი, ონიანი, ბიტოო, ვიეირა, ფიფია (ნ. კვასხვაძე 46), გ. ჭელიძე (იონანიძე 46)*

**ნუკრი ლოლაძე**

ერთი დღით ადრე ორი ამხანაგურიც ჩატარდა: ბოლნისის „სიონმა" „სინათლეზე" რუსთავის „ოლიმპს" 2:1 მოუგო, ხოლო „ვიტ ჯორჯიამ" ამხანაგობა დაივიწყა და „დუშეთი" შვიდი უპასუხო ბურთით დაბომბა.

2008 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. B ჯგუფი

ჩვენი მეტოქეები

# არცთუ სახალხო ფეხბურთი სახალხო მომღერლის დაკრძალვის ჟამს



იმ დღეს იტალიამ ლუჩანო პავაროტი გამოიგლოვა

AFP

## იტალია 0:0 საფრანგეთი

იტალია: ბუფონი, კანავარო, ბარძალი, ოდო, ძამბროტა, დე როსი, გატუზო, პირლო, კამორანეზი (პეროტა 58), დელ პიერო (დი ნატალე 83), ინძაგი (ლუკარელი 65).
მწვრთნელი: რობერტო დონადონი
საფრანგეთი: ლანდრო, ლ. დიარა, აბიდალი, ესკუდე, ტურამი, მაკელელე, ვიეირა, რიბერი (ტულალანი 86), მალუდა, ანრი, ანელკა.
მწვრთნელი: რაიმონ დომენეკი
გაფრთხილება: მაკელელე (7), ანრი (56)
მსაჯი: ლუბოშ მიხელი (სლოვაკეთი)
80 000 მაყურებელი



AFP

„სან სირომ" პრაგმატულ ფეხბურთს უმასპინძლა. ეს მატჩი დაცვაში საიმედოდ თამაშის კარგ გაკვეთილად გამოადგებათ დამწყებ ფეხბურთელებს. არადა, „სან სიროზე" შეკრებილი 80 ათასი მაყურებელი მსოფლიოს ჩემპიონებისგან და ვიცე-ჩემპიონებისგან სანახაობრივ თამაშს ელოდა...

არც ერთ გუნდს შეტევით თავი არ მოუკლავს, საკუთარი კარის უსაფრთხოებაზე უფრო ფიქრობდნენ. ორივეს აქცენტი ცენტრალური ნახევარმცველების განეიტრალებაზე ჰქონდა გადატანილი. დრო და დრო „ატური" დაცვაში დიდი ხნით ჩადგებოდა ხოლმე და მაშინაც ფრანგები სამ-ოთხი კაცით უტევდნენ. შეტევაში არც იტალია ბრწყინავდა, თუმცა სამჯერ მაინც მოახერხეს კარში დარტყმა — პირველ ტაიმში ალესანდრო დელ პიერომ და ფილიპო ინძაგიმ, მეორეში მაურო კამორანეზიმ — ეს იყო და ეს.

უნდა ითქვას, ფრე ფრანგებს უფრო აძლევდა ხელს. „მამლები" პირველ ადგილზე დარჩნენ, იტალიამ კი მეორეობა შოტლანდიას დაუთმო.

ამ ორ ქულასთან ერთად იტალიამ სამი ფეხბურთელიც დაკარგა — 12 სექტემბერს უკრაინასთან ვერ ითამაშებენ დაშავებულები, ლუკა ტონი და ანდრეა პირლო, ასევე დისკვალიფიცირებული ჯენარო გატუზო.

„თამაშის მსვლელობას ჩვენ ვაკონტროლებდით. მეტოქეზე მეტი მომენტი გვქონდა, თუმცა ვერ გამოვიყენეთ. საწყისი 20 წუთით უკმაყოფილო ვარ — გუნდი მძიმედ თამაშობდა, შემდგომ მოვუმატეთ, ბოლოს კი მეტოქე ფიზიკურად დავჯაბნეთ. გამუდმებით მესმის, რომ ვალდებულები ვართ, მოვიგოთ. იცოდეთ, ჩვენ მოედანზე ყოველთვის მოსაგებად გავდივართ. ასე იქნება უკრაინაშიც" — განაცხადა ნამატჩევს იტალიელთა თავკაცმა რობერტო დონადონიმ.

ფრანგების კაპიტანმა პატრიკ ვიეირამ საკუთარ თავს იტალიასთან ფრე მიულოცა: „როდესაც გუნდი თამაშობს როგორც ერთიანი მექანიზმი, ფეხბურთელებს შრომა უადვილდებათ. თავდამსხმელთა გამუდმებულმა მოძრაობამ ნახევარმცველებს ახალი ვარიანტების ძებნის საშუალება მოგვცა და უკან ჩამოსვლასაც ვასწრებდით. ლასანა დიარამ კარგად ჩაკეტა დელ პიერო, მე და კლოდ მაკელელემ — პირლო. კარგად ვიმუშავეთ და სასურველ შედეგს მივაღწიეთ".

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

| საკვალიფიკაციო ვითარება | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| საფრანგეთი | 8 | 6 | 1 | 1 | 15:2 | 19 |
| შოტლანდია | 8 | 6 | 0 | 2 | 16:7 | 18 |
| იტალია | 8 | 5 | 2 | 1 | 13:6 | 17 |
| უკრაინა | 7 | 4 | 1 | 2 | 9:7 | 13 |
| საქართველო | 9 | 2 | 1 | 6 | 14:15 | 7 |
| ლიტვა | 8 | 2 | 1 | 5 | 5:10 | 7 |
| ფარერები | 8 | 0 | 0 | 8 | 2:27 | 0 |



სტივენ მაკმანუსის ნამუხლარი გოლი ლიტველთა კარში

AFP

# მაკ-მაკ ლიტვას

## შოტლანდია 3:1 ლიტვა

1:0 ბოიდი (31), 1:1 დანილიავიჩუსი (61პ), 2:1 მაკმანუსი (77), 3:1 მაკფადენი (83)
შოტლანდია: გორდონი, ჰატონი, ვეირი, მაკმანუსი, მაკვეი, ტილი (მაკფადენი 69), ბრაუნი, ფლეტჩერი, მაკკალოხი (მელოუნი 76), ბოიდი, ოკონორი (ბიტი 76).
მწვრთნელი: გორდონ სტრაჩანი
ლიტვა: კარჩემარსკასი, სტანკიავიჩუსი (იანკაუსკასი 56), სკერლა, ჟვირგჟდაუსკასი, კლიმიავიჩუსი, შემბერასი, კალონასი, დ. ჩესნაუსკისი, მორინასი (მიკოლიუნასი 46), დანილიავიჩუსი, ველიჩკა (კსანავიჩიუსი 46).
მწვრთნელი: ალგიმანტას ლიუბინსკასი
გაფრთხილება: ველიჩკა (21), სტანკიავიჩუსი (35), კარჩემარსკასი (40), ოკონორი (42), კლიმავიჩუსი (57), კსანავიჩიუსი (64), ფლეტჩერი (87)
მსაჯი: დამირ სკომინა (სლოვენია)
51 349 მაყურებელი

**კარგი** პირველი ტაიმის შემდეგ შოტლანდიელებმა უპირატესობა დათმეს და ლიტველები ისე ათამაშდნენ, მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონები გეგონებოდნენ. მართალია, გოლი თითიდან გამოწოვილი პენალტით შეაგდეს, მაგრამ სქოთები კარს მიაბეს და შეტევის საშუალება მოუსპეს. ბალტიელები სტივენ მაკმანუსის გოლმა მოკლა, საკონტროლო გასროლა კი ჯეიმს მაკფადენისა იყო.

ლიტველებს, ქართველებისა არ იყოს, ჯგუფიდან გასვლის შანსი არ აქვთ, სქოთებს კი რეალურად შეუძლიათ იბრძოლონ ფინალურ ეტაპზე მოსახვედრად, ამიტომ ბალტიისპირელებთან უჭველი მოგება სჭირდებოდათ.

სამი ქულისთვის მატჩი შოტლანდიელებმა აგრესიულად დაიწყეს. ლიტველებს მათი შეჩერება აკრძალული ხერხებით უხდებოდათ და მსაჯმაც პირველ ტაიმში სამჯერ უჩვენა ყვითელი „ყვითლებს". ჯარიმის ზღვარზე თამაშით სქოთების შეჩერება უარესია, ბრიტანელები სტანდარტებს კარგად ასრულებენ და ლიტველებმაც ქართული ანდაზა, კოკა ყოველთვის წყალს ვერ მოიტანსო, რომ არ იციან, ნათლად გამოჩნდა. სქოთებმა სწორედ სტანდარტულით დასაჯეს მეტოქე — მარჯვენა ფლანგიდან ჯარიმა კაპიტანმა დარენ ფლეტჩერმა ჩააწოდა, კრის ბოიდმა კი ჟილრუნას კარჩემარსკასს თავური გაუტანა. გოლამდეც და გოლის შემდეგაც კარჩემარსკასმა რამდენიმე მკვდარი ბურთი მოიგერია, ბოიდის დარტყმულს კი ვერაფერი მოუხერხა.

დაიწყო მეორე ტაიმი და „მკვდარი" ლიტვა გაცოცხლდა. ეს, პირველ რიგში, შეცვლაზე შესული საულიუს მიკოლიუნასის დამსახურებაა. ლიტველმა მარჯვენა ფლანგი აიკლო და თანაგუნდელებს რომ ეყოჩაღათ, არათუ ანგარიშს გაათანაბრებდნენ, დაწინაურდებოდნენ კიდეც. მიკოლიუნასმა იფიქრა, ესენი გოლის გამტანები არ არიანო და, ისეთი პენალტი გამოიგონა... კაპიტანმა ტომას დანილიავიჩუსმა კი უნაკლოდ დაარტყა.

მალევე მინდაუგას კალონასს თავისიანების დაწინაურება შეეძლო, მაგრამ ვერ ივარგა და ლიტვა ერთხელაც დაისაჯა — 77-ე წუთზე მოედანზე წუთის შესულმა შონ მელოუნმა საგოლე პასი გაჩარხა — ბურთი შორეულ ძელთან ჩაჰკიდა და საჯარიმოში შევარდნილმა მაკმანუსმა მუხლით ცხრიანში აულებელი დაარტყა.

მერე იყო მაკფადენის შესანიშნავი გოლი — ულამაზესი დარტყმა საჯარიმოს გარედან, რომელმაც კარჩემარსკასი გაოგნებული დატოვა — 3:1.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# ევროპის ჩემპიონატი
## ესპანეთი. 3-16 სექტემბერი. მეორე ჯგუფური ეტაპი

# რუსებს მედალი მოუნდათ




რიმანტას კაუკენასის ლიტვამ იტალიაც დაამარცხა

**E ჯგუფი**

**რუსეთი 78:65 პორტუგალია**
**16:13 28:17 24:19 10:16**
**რუსეთი:** კირილენკო (16), ხრიაპა (11), მორგუნოვი (11)
**პორტუგალია:** კოელიო (11), ევორა (10), მირანდა (10)

**ისრაელი 80:75 ხორვატია**
**14:17 19:18 20:16 27:24**
**ისრაელი:** გრინი (17), რობერტსი (15), ტამირი (11)
**ხორვატია:** კაშუნი (18), უკიჩი (10)

**ესპანეთი 78:56 საბერძნეთი**
**23:17 22:9 11:15 20:19**
**ესპანეთი:** ფერნანდესი (20), გასოლი (15)
**საბერძნეთი:** ბუდურისი (10), პაპალუკასი (9)

ამ ხუმრობა-ხუმრობაში კი გავიდა რუსეთი მეოთხედფინალში. მეორე ჯგუფური ეტაპის პირველივე ტურში ჩვენმა ჩრდილოელმა მეზობლებმა პორტუგალია დატორეს და პლეი ოფში თამაში გაინაღდეს.

სანამ მატჩების მიმოხილვაზე გადავალთ, ევროჩემპიონატის გათამაშების ფორმატზე ვთქვათ ორიოდ სიტყვა. პირველი ჯგუფური ეტაპიდან 12 გუნდი გავიდა (3-3 თითო ჯგუფიდან), რომლებმაც 2 ახალი ჯგუფი შეადგინეს. გუნდებს პირველი ჯგუფური ეტაპის ურთიერთშეხვედრების შედეგები მეორეში გადაჰყვათ. შესაბამისად, მეორე ეტაპზეც სამი ტური გაიმართება და ჯგუფის საუკეთესო კვარტეტი მეოთხედფინალში გავა.

რუსეთმა პორტუგალიის ძლევით პირველი ადგილი გაიმყარა და დარჩენილი 2 მატჩიც რომ წააგოს, მეოთხე ადგილს მაინც არ ჩამოსცდება. რა მეოთხე ადგილი, რის პლეი ოფის მიღმა დარჩენა, რუსებმა ჩემპიონატზე 4 მატჩი მოიგეს და უკვე მედლების პრეტენზია გაუჩნდათ.

„დიდი ხანია, ჩვენს ნაკრებს მედალი არ მოუგია — ამბობს მათი ფორვარდი სერგეი მონია — ახლა ყველას ძალიან სურს საპრიზო ადგილის დაკავება. მხოლოდ 2 კაცი გვყავს, ვისაც რომელიმე სინჯის მედალი მოუგია რუსეთის ნაკრებში, დანარჩენები დამშეულებივით ვართ და ახლა ძალიან კარგი შანსი გვაქვს, მიზანს მივაღწიოთ."

რუსების მთავარი იმედი ანდრეი კირილენკოა, რომელიც პორტუგალიასთან უწინდელივით ბარაქიანი არ იყო, თუმც ბომბარდირობისთვის და მეტოქის დაჩოქებისთვის 16 ქულაც ეყო.

რუსების ლახვარი ის იყო, როცა 52:41 გალიდერებულებმა პორტუგალიას 10:0 გაქცევა მოუწყვეს და გამარჯვების ტოლფასი უპირატესობა მოიპოვეს. დარჩენილ დროში სლავებმა თავი აღარ მოიკლეს და აუღელვებლად მიითვალეს მორიგი გამარჯვება.

კარგი შანსი ჰქონდა ხორვატიასაც, ნაადრევად გაენაღდებინა მეოთხედფინალი და ახლა ცხრილში რუსეთის გვერდით ყოფილიყო, მაგრამ ისრაელთან დაუცდა ფეხი.

„ჩვენ ნამდვილი სულელები ვართ, ასეთი კარგი შანსი რომ ხელიდან გავუშვით — მაქსიმალურად თვითკრიტიკული იყო ხორვატთა ერთ-ერთი ლიდერი ლუნი უკიჩი — ჯერაც არ ვიცი, როგორ დავთმეთ ეს თამაში. საშინლად იმედგაცრუებული ვარ."

ისრაელმა მართლაც მოულოდნელად იმარჯვა. ესპანელების მძლეველი ხორვატები, ეტყობა, დარწმუნებულები იყვნენ, რომ ტურნირის აუტსაიდერად შერაცხულ ისრაელს იოლად დაამარცხებდნენ, მაგრამ... ებრაელთა მთავარი ოინი ამით ტამირის სამქულიანები იყო. ეს მოთამაშე 210 სანტიმეტრია და ცენტრად თამაშობს. ამიტომაც ტამირს არავინ მეურვეობდა, როცა ის პერიმეტრზე ადიოდა. ამან კი ადგა და 4-დან 3 სამქულიანი ჩააგდო, რამაც გვარიანი ალიაქოთი შეიტანა ხორვატთა ბანაკში.

ესპანეთმა წინა მატჩში ხორვატებთან მარცხისთვის შური ბერძნებზე იძია და ევროპის მოქმედი ჩემპიონები სულ ღიღინ-ღიღინით დაამარცხა.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| რუსეთი | 3 | 3 | 0 | 229:174 | 6 |
| ესპანეთი | 3 | 2 | 1 | 242:199 | 5 |
| ხორვატია | 3 | 2 | 1 | 250:232 | 5 |
| საბერძნეთი | 3 | 1 | 2 | 187:203 | 4 |
| ისრაელი | 3 | 1 | 2 | 202:241 | 4 |
| პორტუგალია | 3 | 0 | 3 | 189:250 | 3 |

**F ჯგუფი**

**საფრანგეთი 78:66 გერმანია**
**26:20 21:19 15:10 16:17**
**საფრანგეთი:** პარკერი (23), პიეტრუსი (12), კირკსი (12)
**გერმანია:** ნოვიცკი (28), ოკულაია (14)

**სლოვენია 66:51 თურქეთი**
**15:20 11:14 15:11 20:11**
**სლოვენია:** ნესტეროვიჩი (13), შლოკარი (12)
**თურქეთი:** თურქოღლუ (17), ოქური (14)

**ლიტვა 79:74 იტალია**
**21:13 19:26 22:22 17:13**
**ლიტვა:** კაუკენასი (22), იასიკევიჩიუსი (13)
**იტალია:** ბარნანი (15), ბაზილე (13)

ამ ჯგუფში შეიყარა ჩემპიონატის ორი დაუმარცხებელი გუნდი — ლიტვა და სლოვენია, რომლებიც ერთმანეთს წუხელ შეასკდებოდნენ.

სლოვენიამ პირველ ჯგუფურ ეტაპზე ორი მატჩი მოიგო ერთი ქულით — იტალიამ და საფრანგეთმა მას დიდი ბრძოლა გაუმართეს, თუმც თურქეთი ის გუნდი არ იყო, სლოვენიელები გაენერვიულებინა.

სანამ შლო ჰქონდა, ბოგდან ტანიევიჩის გაწვრთნილი თურქები სლოვენიელებს ებულრავებოდნენ, თუმცა მესამე მეოთხედიდან ბალკანელთა აზვირთება დაიწყო და ბოლო მეოთხედის შუაწელამდე გაგრძელდა. მატჩის ბედიც ამ მონაკვეთში გადაწყდა.

მესამე ათწუთეულის შუაწელში ჰიდაიეთ თურქოღლუს ქმედულმა თამაშმა თურქები 40:36 გაალიდერა და აქ მოედანზე სლოვენიელთა რიგითი მარქაფი უროშ შლოკარი გამოჩნდა.

„გადაჭარბებულია, თითქოს ჩემმა სამქულიანმა მოგვაგებინა — იტყვის ნამატჩევს შლოკარი — ვფიქრობ, რამდენიც არ უნდა ჩამეგდო, თუ ასე ყოჩაღ დაცვას არ ვითამაშებდით, ვერაფრით ვერ მოვიგებდით."

შლოკარმა მიჯრით 2 სამიანი ჩააგდო, რამდენჯერმე ჩაჭრა ბურთი და სლოვენიელებს მესამე მეოთხედის ბოლომდე დარჩენილი დრო 10:0 მოაგებინა — ანუ 46:40 გაალიდერა. მისი შეუპოვრობით სლოვენიელებმა თურქების რბევა ბოლო მეოთხედშიც გააგრძელეს და მთლიანობაში 7-წუთიანი მონაკვეთი 21:1 (!) მოიგეს.

ლიტვას დიდი ბრძოლა გაუმართა იტალიამ, თუმც აპენინელები ხომ სულ ესე არიან ამ ჩემპიონატზე — იბრძვიან, წელებზე ფეხს იდგამენ, მაგრამ საბოლოოდ აგებენ.

იტალიელები უკეთეს დასაწყისს ვერც ინატრებდნენ: პირველივე მეოთხედში 13:0 გარღვევა მოაწყვეს და 15:4 დაწინაურდნენ, მაგრამ ბალტიისპირელების აქამდე ჩრდილში მყოფმა სნაიპერმა რიმანტას კაუკენასმა აფრები აუშვა და სულ პანტა-პუნტით უყარა იტალიელებს ბურთები.

თამაში გათანაბრდა და ბოლო მეოთხედამდე ასე გაგრძელდა. იქ კი შარუნას იასიკევიჩიუსის გამჭრიახობამ თავისი გაიტანა — ლიტვამ თამაშის ბოლო 3 წუთი 9:2 მოიგო და ამასთან ერთად მატჩიც სათავისოდ დაასრულა.

ჯგუფის მესამე მატჩში საფრანგეთი დირკ ნოვიცკის გერმანიას შეხვდა. დიდებული მოთამაშეა დალასის სუპერვასკვლავი, მაგრამ რა გასაკვირია, რომ უთანასწორო ბრძოლაში წაგებული გამოვიდა. მით უფრო, როცა ფრანგების ლიდერმა. ტონი პარკერმა პირად სტატისტიკაზე ზრუნვას უკლო და თავის ყოჩაღ თანაგუნდელებსაც ჩამოურიგა პასები. ერთი ერთზე ნოვიცკის შეიძლება დაეჯაბნა პარკერი, მაგრამ ამ უკანასკნელმა ჭკუა იხმარა და გუნდური თამაშისკენ მიმართა მთელი თავისი რესურსი.

„პარკერმა საუკეთესოდ იცის, როგორ უნდა შეუტიოს, მაგრამ მან გადაწყვიტა, სხვების გამოცდილებაც გამოეყენებინა და პასები მიეცა მათთვის" — თქვა ფრანგთა დამრიგებელმა კლოდ ბერჟუმ.

გერმანია მესამე მეოთხედამდე უძალიანდებოდა ფრანგებს, მაგრამ პარკერმა 12-ქულიან გაქცევაში 7 თავად მიითვალა, დანარჩენიც მისი მეოხებით ჩავარდა და ნოვიცკის გუნდი წასაგებად გაიწირა.

ამ ჯგუფში თითქმის ყველაფერი ნათელია. საკითხავი ისაა, ჯგუფიდან მეოთხე გუნდად იტალია გავა თუ გერმანია. ეს საკითხი ამ გუნდების პირად ლუელში გადაწყდება.

**ირაკლი ბერტაია**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ლიტვა | 3 | 3 | 0 | 249:223 | 6 |
| სლოვენია | 3 | 3 | 0 | 202:185 | 6 |
| საფრანგეთი | 3 | 2 | 1 | 213:195 | 5 |
| გერმანია | 3 | 1 | 2 | 225:211 | 4 |
| იტალია | 3 | 0 | 3 | 204:217 | 3 |
| თურქეთი | 3 | 0 | 3 | 169:231 | 3 |



la vuelta'07 del 1 al 23

## ვუელტა-2007
### ესპანეთი. 1-23 სექტემბერი

| 8 სექტემბერი. მე-8 ეტაპი. ძარინენა — სარაგოსა. 52,2 კმ | |
|---|---|
| 1 ბერტ გრაბში (გერმანია, T-მობაილი) | 57 წთ 5 წმ |
| 2 ლასლო ბოდროგი (უნგრეთი, კრედიტ აგრიკოლი) | +34 წმ |
| 3 სტინ დევოლდერი (ბელგია, დისქავერი) | +48 წმ |
| 4 დენის მენშოვი (რუსეთი, რაბობანკი) | +1 წთ 18წმ |
| 5 მაგნუს ბაკსტედტი (შვედეთი, ლიკვიგასი) | +1 წთ 37 წმ |

| 9 სექტემბერი. მე-9 ეტაპი. უესკა — ჩერლერი. 167,6 კმ | |
|---|---|
| 1 ლეონარდო პიეპოლი (იტალია, სონი დიუვალი) | 4 სთ 28 წთ 21 წმ |
| 2 დენის მენშოვი (რუსეთი, რაბობანკი) | იგივე დრო |
| 3 ეზეკილ მიგუესი (ესპანეთი, კარპინ გალისია) | +17 წმ |
| 4 კარლოს სასტრე (ესპანეთი, CSC) | იგივე დრო |
| 5 ოლივერ ზაუგი (შვეიცარია, გეროლშტეინერი) | +51 წმ |

| საერთო ჩათვლა | |
|---|---|
| 1 დენის მენშოვი (რუსეთი, რაბობანკი) | 33 სთ 54 წთ 46 წმ |
| 2 ვლადიმირ ეფიომკინი (რუსეთი, კაისე დეპარნი) | +2 წთ 1 წმ |
| 3 კედელ ევანსი (ავსტრალია, ლოტო) | +2 წთ 27 წმ |
| 4 კარლოს სასტრე (ესპანეთი, CSC) | +3 წთ 2 წმ |
| 5 ეზეკილ მიგუესი (ესპანეთი, კარპინ გალისია) | +4 წთ 2 წმ |




ლეონარდო პიეპოლიმ მეცხრე ეტაპი მოიგო

AFP

# RUGBY WORLD CUP 2007

## საფრანგეთი. 7 სექტემბერი — 20 ოქტომბერი

7 სექტემბერი. პარიზი. სტად დე ფრანსე

**საფრანგეთი 12:17 არგენტინა**

საფრანგეთი: ეიმანსი, რუჟერი, ტრაი, ჟოზიონი, დომინისი; სკრელა, მინონი; არინორდოკი, მარტინი, ბესენი, თიონი, პელუ, დე ვილიე, იბანიესი (კაპ), მილუ
სათადარიგოები: შარჟევსკი, პუ, შაბალი, ბონარი, დუსატო, ელისალდე, მიშალაკი
4 ს: სკრელა
არგენტინა: კორლეტო, ბორხესი, მ. კონტეპომი, ფ. კონტეპომი, აგულა; ერნანდესი, პიჩოტი (კაპ); ლეგუიზამონი, ხ. ლობე, ოსტილია, ალბასეტე, ი. ლობე, სკელზო, ლედესმა, რონჩერო
სათადარიგოები: ბასუალდო, ბონორინო, ალვარესი, დურანდი, მირანდა, ტოდეშინი, სელინოსა
1 ლ: კორლეტო; 4 ს: ფ. კონტეპომი

# მამალი საქათმის გზას ველარ აგნებს

**რაგბის** მსოფლიოს თასი სენსაციურად რომ დაიწყო, უკვე ძველი ამბავია. უტეხმა არგენტინამ თასის გახსნით მატჩში მათთვისაც მოულოდნელად მასპინძელი საფრანგეთი მიანგრია. ამით „პუმებმა" ფრანგებს ხომ აურიეს დავთარი და რაგბის საერთაშორისო საბჭოს (IRB) სცენარიც თავდაყირა დააყენეს. არადა, ყველანაირი გათვლით სიკვდილის ჯგუფში საფრანგეთს პირველი ადგილი უნდა დაეკავებინა, მერე კი მეოთხედ და ნახევარფინალში შედარებით სუსტი მეტოქეები ხვდებოდა. ახლა საფრანგეთმა უეჭველად უნდა მოუგოს ირლანდიას, მაგრამ ჯგუფის სეფე გუნდობას ალბათ მაინც ვერ შესწვდება, რაც იმას ნიშნავს, რომ მეოთხედფინალშივე დაეჯახება მრისხანე ახალ ზელანდიას, რომელმაც ბოლო დროს მოყოჩაღებული იტალიისგან ქვა ქვაზე არ დატოვა.

მატჩის აღწერას კი ნუღარ შევუდგებით, არგენტინული სენსაცია ყველამ იხილეთ.

# პუმამ ბასრი კლანჭი გაშალა



არგენტინული ძალა ბოლო ხანებში ისეთ აღმართებს ხნავს, რომ სარაგბო საზოგადოება თითქოს მიეჩვია „პუმათა" ხმაურიან გამარჯვებებს, მაგრამ მსოფლიოს თასის გახსნით მატჩში მათ მიერ მასპინძელი საფრანგეთის ძლევა რიგითი ხმაურიანი გამარჯვება კი არა, ნამდვილი მქუხარე სენსაციაა. ნამატჩევი ემოციები რომ ჩაცხრა, არგენტინელი ჟურნალისტის რამდენიმე შეკითხვას უპასუხა „პუმათა" მცველმა და მატჩის ერთადერთი ლელოს ავტორმა **იგნასიო კორლეტომ**

**— რას განიცდით საფრანგეთთან ისტორიული გამარჯვების შემდეგ?**

— ეს რაღაც დაუჯერებელია! მართალი გითხრათ ეს იყო მატჩი, რომლის დაწყებამდეც ყველა ერთს ფიქრობდა: რომ ჩვენი მოგება თითქმის შეუძლებელი იყო, არადა ეს ყველაფერი ფიესტაში გადაიზარდა. როცა საქმეს ასე თავდადებით, ასეთი ძალისხმევითა და მონდომებით აკეთებ, ყველაფრის მიღწევა შეიძლება. „სტად დე ფრანსზე" ხალხმა ნახა, რომ არგენტინას ფავორიტების დამარცხებაც შეუძლია. ადრე ვინმესთვის რომ მეთქვა, ფრანგებს სამშობლოში მოვუგებთ-მეთქი, ალბათ არ დამიჯერებდნენ. ვინც არგენტინის ნაკრებს არ იცნობს ვერ მიხვდება რისი შემძლენი ვართ. საერთოდ, ძალიან კმაყოფილი ვარ და მსურს ყველა მატჩი ასე ვითამაშოთ.

**— თქვენი ნაკრები ბოლო რამდენიმე კვირა დაცვაში თამაშს ამუშავებდა. ახლა ალბათ ამანაც გამოიღო შედეგი...**

— ფრანგებთან შეხვედრაში რა შანსიც მოგვეცა, მაქსიმალურად გამოვიყენეთ. პირველი ტაიმი მეორესგან დიდად არ განსხვავდებოდა, შესვენებამდე ბურთს უფრო ჩვენ ვფლობდით და სიტუაციასაც ვაკონტროლებდით. მეორე ტაიმში ვიცოდით, რომ დაცვისთვის უნდა მიგვეხედა და ასეც მოვიქეცით, თუმცა არც შეტევა დაგვივიწყებია. ფრანგებისთვის რომ მათი ჩვეული სტილით ბურთაობა დაგვენებებინა, ჩვენი საქმე კარგად არ წავიდოდა... ლელოც შესაფერის დროს დავდეთ. აუცილებელია აღინიშნოს მორკინალთა თავდადება — განსაკუთრებით კარგად ითამაშა პირველმა ხაზმა. ცენტრებმაც მეტოქის ყველა იერიში მოიგერიეს.

**— თქვენმა ლელომ გამარჯვების სიხარული გაგიძლიერათ?**

— ძალიან კმაყოფილი ვარ, უსაშველოდ გამახარა ამ გამარჯვებამ. თითქოს ერთი შეხედვით შეუძლებელ საქმეს შევეჭიდეთ, მაგრამ მაინც მოვიგეთ... ლელო რა თქმა უნდა, კარგია, მაგრამ მთავარი მოგებაა. მთავარი ისაა, რომ ყველანი ბედნიერები ვართ!

# ირაკლი აბუსერიძე: თუ პირველ რიგში თამაშობ, ნოსტალგიას უნდა აჯობო

საქართველოს ნაკრებისთვის მსოფლიოს თასი ხვალ დაეწყობა, როცა ჩვენი „ლელოები" ლიონში არგენტინას დაეჯახებიან. იცით, არგენტინამ სენსაციით დაიწყო — თასის გახსნით მატჩში ტურნირის მასპინძელი და ერთ-ერთი ფავორიტი საფრანგეთი მიანგრია. სანამ ჩვენები სიკვდილის ჯგუფში არგენტინელებს შეერკინებიან, რაგბის საერთაშორისო საბჭოს ვებგვერდზე ლენა ზაკის მცირე მასალა გამოქვეყნდა. ირბ-ს კორესპონდენტი ქართველთა ვიცე-კაპიტან ირაკლი აბუსერიძეს ესაუბრა...



**საქართველოს** ნაკრები და მისი შერკინების გამთამაშებელი (9 ნომერი) ირაკლი აბუსერიძე უკვე მეორედ თამაშობენ მსოფლიოს თასზე. პირველად ქართველი „ლელოები" ოთხი წლის წინ გავიდნენ ავსტრალიის მსოფლიოს თასზე და იქაური ქომაგების გულებიც დაიპყრეს. ზღვისპირა ქალაქ პერთში ქართველების ფან-კლუბიც შეიქმნა, რომელშიც ათასამდე ავსტრალიელი გაწევრიანდა.

წინა თასზე საქართველომ ჯგუფში ყველა მატჩი წააგო. დებიუტანტისგან მეტს არაფერს ელოდნენ, თუმც სამშობლოში სჯეროდათ, რომ „ლელოები" ურუგვაის დაამარცხებდნენ. ახლა კი ირაკლი აბუსერიძე იმედოვნებს, რომ მსოფლიოს თასზე უკვე გამოცდილი საქართველო საფრანგეთში ბევრად უკეთ ითამაშებს და ისტორიულ გამარჯვებას ნამიბიასთან მატჩში მოიპოვებს.

„ავსტრალიაში რომ ჩავედით, თავი სხვა პლანეტაზე გვეგონა. ჩვენთვის უჩვეულო გარემოში მოვხვდით, თანაც მსოფლიოს თასზე ერთადერთი დებიუტანტები ვიყავით. ახლა სხვა ვითარებაა" — ამბობს 30 წლის აბუსერიძე, რომელსაც ნაკრებში 44-ჯერ უთამაშია, მსოფლიოს თასზე კი სამი კეპი დაუგროვდა.

ირაკლი აბუსერიძემ, რომელსაც მეგობრები შემოკლებით „აბუს" ეძახიან, რაგბის თამაში ძალიან გვიან, 17 წლისამ თბილისში დაიწყო.

„რაგბიზე ჩემი მეგობარი დადიოდა. ერთხელ ვარჯიშზე გავყევი, მომეწონა ეს თამაში და იმ დღიდან დავიწყე რაგბიზე სიარული. ერთი წლის შემდეგ კი უკვე ჭაბუკთა ნაკრების წევრი ვიყავი" — იხსენებს აბუსერიძე.

„აბუს" მეგობართა უმეტესობამ სარაგბო კარიერა ძალიან ადრე, 25-27 წლისებმა დაასრულეს, რადგან საქართველოში საკლუბო რაგბი კატასტროფულ მდგომარეობაშია და მორაგბეების ერთადერთი შანსი ფრანგულ კლუბებში მოწყობაა.

აბუსერიძეს კი, რომელიც ეროვნულ ნაკრებში 2000 წლიდან სტაბილურად თამაშობს, ძალიან გაუმართლა. მას არ გასჭირვებია ფრანგულ გარემოსთან და რაგბისთან შეწყობა. როგორც სანაკრებო, ასევე საკლუბო კარიერაც სტაბილურად აიწყო. ბოლო ორი სეზონია, ირაკლი ფრანგულ „ორლეანში" თამაშობს და თავისი წილი ავტორიტეტიც მოიპოვა. სხვათა შორის, საქართველოში აბუსერიძე ერთი კლუბის ერთგული იყო. იგი საქართველოს არმიული კლუბის ღირსებას იცავდა და მხოლოდ ნახევარი სეზონი ითამაშა საქართველოს მასშტაბით სახელიან კლუბ თბილისის „ყოჩებში". ეს იმიტომ მოხდა, რომ არმიული კლუბი დროებით დაიშალა. როგორც კი აღდგა, „აბუ" მშობლიურ გუნდში დაბრუნდა.

„აბუ" მოედანზე BMW-ს მოტორივითაა, ერთი წამით არ ჩერდება. „ძალიან მიყვარს სიჩქარე. ასეა, როდესაც საჭესთან ვზივარ და ასეა მოედანზეც" — ამბობს ის, რომელიც წელიწადში ერთ თვეს ატარებს საქართველოში და მონატრებას ოჯახთან ყოფნით იქარვებს. ეს მისთვის ყველაზე ბედნიერი დროა, თუმც ჯობს, ისევ მას მოვუსმინოთ: „სპორტსმენის ცხოვრება და რიტმი ძალიან რთულია. ორმაგად რთულია, როდესაც საზღვარგარეთ თამაშობ. ჩვენ, ქართველებს, გაგვიმართლა, საფრანგეთში ორმოცამდე კაცი ვთამაშობთ და როგორც კი დროს გამოვნახავთ, ერთად ვიკრიბებით. თუ საამისო საშუალებაა, არც ქართულად მოლხენაზე ვამბობთ უარს. ეს კი სახლიდან შორს ყოფნას გვიიოლებს. სახლი არასდროს დაგავიწყდება და მუდამ მოგენატრება, მაგრამ უნდა გაუძლო. თუ გადადგი ნაბიჯი და ცდილობ, „პირველ რიგში" ითამაშო, ნოსტალგიას უნდა აჯობო."

# ავსტრალიამ იაპონია პონივით გახედნა

8 სექტემბერი. ლიონი

**ავსტრალია 91:3 იაპონია**

ავსტრალია: ლათამი, ეშლი-კუპერი, მორტლოკი (კაპ), ჟიტუ, ტუკირი; ლარქემი, გრეგანი; პალუ, სმიტი, ელსომი, ვიკერმანი, შარპი, ბაქსტერი, მური, დანინგი
სათადარიგოები: ფრეიერი, შეფერდსონი, მაკმენიმანი, ჰოილისი, ბარნსი, მიჩელი, ჯერარდი
13 ლ: შარპი, ელსომისი (3), ეშლი-კუპერი, ლათამი (2), ბარნსი (2), მიტჩელი (2), სმიტი, ფრეიერი; 9 გ: მორტლოკი (7), ჟიტუ (2); 2 ს: მორტლოკი
იაპონია: კუსუმი, კიტაგავა, ტრაირა, ოტო, ონოძავა; კ. ონო, იატომი; კისო, სასაკი (კაპ), ვატანაბე, ვატუვეი, კუმაგაე, რ. იამამურა, ინოკუჩი, იამამოტო
სათადარიგოები: მაცუბარა, სომა, ჰ. ონო, მაკირი, იოშიდა, ი. იამამურა, ენდო
1 ს: კ. ონო

**ავსტრალიამ** საშინელი დღე აყარა საბრალო იაპონიას და ჯამში 13 ლელო გაუტანა. „ვოლაბებს" მატჩის სადებიუტო 15 წუთში თავი უკვე ქუდში ჰქონდათ. იქამდე უბერებელ ჯორჯ გრეგანს და მის საძმოს იაპონია ოთხჯერ ჰყავდათ დალელოვებული — 4 ქულის გარდა ოთხზე მეტი ლელოს გატანისთვის პრემიალური ქულა ჯიბეში ედო.

იაპონიის ნაკრების ლეგენდარულმა ახალზელანდიელმა მწვრთნელმა ჯონი ქირვანმა მრისხანე მეტოქეს შერეული რაზმი გაუყვანა, რაკი იცოდა, რომ ძირითადი რაზმითაც ბუზს ვერ აუფრენდა.

განაცხადში არ იყვნენ იაპონელთა ტომით ახალზელანდიელი ოთხი მორაგბე და კაპიტანი ტაკიუსი მიუჩაგე. ტრავმის გამო არ უთამაშია ძირითად 10 ნომერ ეიძი ანდოს, გუნდის დირიჟორობა კი ძალიან უხეიროდ იკისრა ოდენ ოთხი კეპის პატრონმა ასეი ონომ.

RUGBY WORLD CUP 2007

საფრანგეთი. 7 სექტემბერი — 20 ოქტომბერი

# მთელი ცხოვრება 50 წუთში



7:21-ზე სამოელებმა ლელო გაიტანეს, რომელიც მსაჯმა არ ჩათვალა და მთელი თამაშიც წაახდინა

9 სექტემბერი. პარკ დე პრენსი

**სამხრეთ აფრიკა 59:7 სამოა**

სამხრეთ აფრიკა: მონტგომერი, პიტერსენი, ფური, დე ვილიე, ჰაბანა; ჯეიმსი, დუ პრეეცი; როსოუ, ი. სმიტი, ბურხერი, მეტფილდი, ბ. ბოთა, ფან დერ ლინდე, ჯ. სმიტი (კაპ), დუ რანდტი

სათადარიგოები: დიუ პლესი, ბჯ. ბოთა, მიულერი, ფან ჰეერდენი, იანუარი, პრეტორიუსი, შტეინი

8 ლ: ჰაბანა (4), მონტგომერი (2), ფური, პიტერსენი; 5 გ: მონტგომერი; 3 ს: მონტგომერი

სამოა: ლემი, ფატაუ, უილიამსი, მიაფოუ, ა. ტუილაგი; ფუიმაონო-საპოლუ, პოლუ; ჰ. ტუილაგი, სიტიტი (კაპ), ლეო, ტომპსონი, ტეკორი, ჯონსტონი, შვალგერი, ვაა

სათადარიგოები: ფუგა, ლეალამანუა, ვაელუაგა, პურდი, სევეალიი, კრიჩტონი, ლიმა

1 ლ: უილიამსი; 1 გ: უილიამსი

**მატჩის** დასაწყისში ეროვნული ჰიმნის შესრულების დროს რამდენიმე სამოელი ტიროდა. აშკარად იგრძნობოდა, რომ კუნძულელები საოცრად მოტივირებულები გავიდნენ მოედანზე. მართალია, ტანად ჩია სამოელები ფიზიკურად ბევრად ჩამოუვარდებოდნენ გიგანტ აფრიკელებს, მაგრამ მათი ცრემლიანი თვალები და საბრძოლო შემართება კაცს უნებურად განგაწყობდა მათ საგულშემატკივროდ.

ეს მართლაც საოცრად სანახაობრივი თამაში გამოდგა, უფრო სწორად, შეხვედრის პირველი ორმოცდაათი წუთი, თორემ შემდეგ უკვე მოვლენები ინერციით განვითარდა. „ქურციკების“ ძირითად შემადგენლობაში თხუთმეტი ერთმანეთზე ჯანიანი, ფიზიკურად მშვენივრად მომზადებული და მოწინააღმდეგისთვის საშინელი (გარეგნულადაც) კაცი თამაშობდა. ჯერ მარტო შხალკ ბურხერის და ბებერი ოზ დუ რანდტის ბრძოლაში ნახვა რად ღირს, მათი გარეგნობა და ფიზიკური მონაცემები ძველი საბერძნეთის მითოლოგიურ გმირებსაც კი დაამშვენებდა. ოვალურ სამყაროში ცნობილი „ბინძური“ გუნდებიდან სამხრეთ აფრიკა შეიძლება გამორჩეული წარმომადგენელიც კი იყოს. ისინი მსაჯის შეუმჩნევლად გამუდმებით არღვევენ წესებს და ამას ისე ოსტატურად აკეთებენ, რომ შეხვედრის გარდაუვალი ნაწილი გეგონება. საწყალ სამოელებს გუშინ მატჩის დასაწყისში ბევრი მოხვდათ, მაგრამ მათი ხელდახელ რაგბობა ნებისმიერ ქომაგს აღფრთოვანებაში მოიყვანდა.

„ქურციკების“ ვეტერანმა ვარსკვლავმა პერსი მონტგომერმა ჯახის დასაწყისში სამი ჯარიმა ერთიმეორის მიყოლებით გაიტანა და აფრიკელები დააწინაურა. შემდეგ ამას გვენ უილიამსმა გატანილი ლელო დაუპირისპირა, ანგარიში 9:7 გახადა და ასე დარჩა მანამ, სანამ პირველი ტაიმის მიწურულს ბრაიან ჰაბანამ და პერსი მონტგომერმა ორჯერ არ დაალელოეს სამოელები.

შესვენებაზე გუნდები 21:7 ანგარიშით გავიდნენ. მატჩის განახლებიდან მთელი ხუთი წუთი სამოელებმა სამხრეთაფრიკელები მათივე ოცდაორს მიაჯაჭვეს, რასაც ლელოც მოაყოლეს, მაგრამ რად გინდა, არბიტრმა წესების სრული დაცვით დადებული ლელო სრულიად გაუგებარი მიზეზებით არ ჩათვალა. ეს ის კულმინაციური მომენტი გახლდათ, რომლის იქითაც თამაშზე დაწვრილებით მოყოლას აღარ გავაგრძელებთ. მართლაც თავდადებით მებრძოლი სამოელები ამ უსამართლობამ გატეხა. აქ გახუნდა ეს უდრამატულესი და მსოფლიოს თასის ჯერჯერობით ყველაზე ამოდ სანახავი თამაში. მას მერე ჰაბანამ და სხვებმა ექვსი ლელო გაუტანეს კუნძულელებს. თავად ჰაბანამ პოკერი შეასრულა.

სამხრეთ აფრიკა უდავოდ ძლიერი გუნდია და ჯგუფში პირველ ადგილზე გასვლა არ გაუჭირდება. აი, სამოასა და ინგლისის არცთუ კარგ ფორმაში მყოფ ნაკრებს შორის ჯახი კი საინტერესო და თანაბარი უნდა გამოვიდეს.

**ზურაბ მიგრიაული**

# აღარც ფხა, აღარც ეკალი

8 სექტემბერი. ლანსი

**ინგლისი 28:10 აშშ**

ინგლისი: კუეტო, ლუსი, ნუნი, ქეთი, რობინსონი; ბარკლი, პერი; დალალიო, რიისი, უორსლი, კეი, შოუ, ვიკერი (კაპ), რეგანი, შერიდანი

სათადარიგოები: ჩუთერი, სტივენსი, კორი, მუდი, რიჩარდსი, ფარელი, ტაიტი

3 ლ: რობინსონი, ბარკლი, რიისი; 2 გ: ბარკლი; 3 ს: ბარკლი

აშშ: უაილზი, სიკა, ემერიკი, ესიკია, ნგვენია; ჰერკუსი (კაპ), ერსკინი; ბლუმფილდი, ქლევერი, სტენფილი, მანგანი, პარკერი, ოსენტოვსკი, ლენცი, მაკდონალდი

სათადარიგოები: ბურდეტი, მოეაკიოლა, ბასაური, პეტრი, მალიფა, ტუიპოლოტუ

1 ლ: მოეაკიოლა; 1 გ: ჰერუსი; 1 ს: ჰერკუსი

**მსოფლიოს** ჩემპიონმა ინგლისმა ტიტულის დაცვა ამერიკის ძლევით კი დაიწყო, მაგრამ იმდენად უსახური, უშინაარსო და უმარილო რაგბი ითამაშა, რომ საეჭვოა, ამ თასზე ძალზე შორს წავიდეს.

ოჰ, როგორ არ ჰგავდა ეს გუნდი ზუსტად ოთხი წლის წინანდელ ინგლისს, რომელმაც 2003 წლის 11 ოქტომბერს საქართველოს 84:6 განადგურებით დაიწყო ავსტრალიის მსოფლიოს თასი. ახლანდელ „ვარდებს“ ძველი გუნდის არც ფხა შერჩათ და არც ეკალი. მხოლოდ სამი ლელო გაუტანეს ამერიკელ „არწივებს“, რომლებიც მაღლა არასდროს დაფრინავდნენ და ახლაც ქვესაშუალო გუნდად ითვლებიან. ინგლისმა ვერ მოახერხა მეოთხე ლელოს გატანაც კი, რაც პრემიალურ ქულას მისცემდა. ტაიმის 21:3 მოგების შემდეგ ბრაიან ეშტონს და მის შეგირდებს მეორე ნახევარში მეტის იმედი ჰქონდათ, მაგრამ ამდენიც ვეღარ მოახერხეს — საკმაოდ მწყობრად მოთამაშე ამერიკელებს ერთადერთი გარდასახული ლელოს მეტი ვეღარ დასტყუეს. პირიქით, იქით გაუშვეს ერთი ლელო და სხვა გრანდების, ახალი ზელანდიისა და ავსტრალიის ბარაქიანი გამარჯვებების ფონზე სასაცილო სხვაობით ჩაამთავრეს თამაში. ის კი არა, დიდებთან თამაშის მეტი გამოცდილება რომ ჰქონოდათ და შეტევაში რამდენჯერმე სწორი გზა აერჩიათ, ამერიკელები ერთი-ორ ლელოსაც მიართმევდნენ ისტორიულ წინაპრებს და გაცილებით საპატიო სხვაობით დამარცხდებოდნენ.

**კოტე ყორშია**

8 სექტემბერი. მარსელი

**ახალი ზელანდია 76:14 იტალია**

ახალი ზელანდია: მაკდონალდი, ჰაულეტი, მულიაინა, მაკალისტერი, სივივატუ; კარტერი, კელეჰერი; სოოიალო, მაკქოუ (კაპ), კოლინზი, უილიამსი, ჯეკი, ჰეიმანი, მეალამუ, ვუდკოკი

სათადარიგოები: ოლივერი, ტიალატა, მასო, ლაუაკი, ლეონარდი, მაუგერი, ტოეავა

11 ლ: მაკქოუ (2), ჰაულეტი (3), მულიაინა, სივივატუ (2), ჯეკი, კოლინზი (2); 9 გ: კარტერი (7), მაკალისტერი (2); 1 ს: კარტერი

იტალია: ბორტოლუსი, რობერტსონი, მასი, მი. ბერგამასკო, სტანოიევიჩი; დე მარინი, ტრონკონი; პარისე, მა. ბერგამასკო, ძანი, ბორტოლამი (კაპ), დელაპე, კასტროჯოვანი, ონგარო, პერუჯინი

სათადარიგოები: ფესტუჩია, ლო ჩიჩერო, ბერნაბი, ფოსავაი, გრიფენი, კანალე, გალონი

2 ლ: სტანოიევიჩი, მი. ბერგამასკო; 2 გ: ბორტოლუსი, დე მარინი

# უგემურმა იტალიამ ხალხი მშიერი დატოვა

**საფრანგეთის** და არგენტინის ნაკრებების უდაძაბულესი ჯახის შემხედვარე, რაგბის გულშემატკივართა უმეტესობას იმედი მიეცა, რომ იტალიის ნაკრებიც თანაბრად შეერკინებოდა ახალზელანდიელთა „შავ“ არმიას, მაგრამ დაძაბული თამაშის მომლოდინეებს კოვზი ნაცარში ჩაგვივარდა. „მაორებმა“ ისე ადვილად დაარბიეს „ლურჯები“, რომ, მგონი, თვითონაც განცვიფრებულები დარჩნენ.

კაპიტანმა რიჩი მაკქოუმ მატჩის დასაწყისშივე დაალელოვა კალაბრიული ხორბალივით დაბნეული იტალიელები და მანვე მალე მეორეც რომ მიაყოლა, გამოუსწორებელ იტალიელ ფანატიკოსსაც გაუქრო გამარჯვების მისხალი იმედი. მერეც ზელანდიელები თითქო ვარჯიშზე არიანო, ლელს ლელოზე იტანდნენ და 28-ე წუთისთვის ექვსი ჰქონდათ, ანგარიში კი 38:0 ყვიროდა!

მერე მაორები მოეშვნენ და იტალიელებმაც ამისთვის ალბათ გულში ულრმესი მადლობა უძღვნეს. მეორე ტაიმის დასაწყისში და მიწურულს შესაბამისად — სტანოევიჩმა და მირკო ბერგამასკომ ლელოები გაიტანეს და იტალიამ ანგარიში შეარბილა. „ოლ ბლექსთან“ ორი ლელოს გატანა ხომ ნებისმიერი გუნდისთვის რომ საპატიო ამბავია, რაგბის მოყვარულთ მშვენივრად მოეხსენებათ.

შეიძლება ითქვას, ახალი ზელანდია იმ დღეს მოედნიდან დაუღლელი გამოვიდა, რადგან იტალიის ნაკრებმა ვერ თუ არ გაუწია შესაფერი წინააღმდეგობა და მაორთა და ლამაზი რაგბის ხილვის მსურველთა მადალი „მადა“ არ დაკმაყოფილდა.

ისიც სათქმელია, რომ იტალიელებს ჯგუფში კიდევ სამი შეხვედრა აქვთ დარჩენილი და ათი თავი ძლიერ მეტოქეს ძალა არ შეახარჯეს.

**ზურაბ მიგრიაული**

9 სექტემბერი. ნანტი

**უელსი 42:17 კანადა**

უელსი: მორგანი, მ. ჯონსი, შანკლინი, პარკერი, ს. უილიამსი; ჰუკი, პილი (კაპ); პოპჰენი, მ. უილიამსი, ჯ. ტომასი, ე. ჯონსი, გოუგი, ა. ჯონსი, რისი, ჯენკინსი

სათადარიგოები: რ. ტომასი, დ. ჯონსი, ოუენი, ჩარვიზი, ფილიპსი, ს. ჯონსი, გ. ტომასი

5 ლ: პარკერი, ე. ჯონსი, ს. უილიამსი (2), შარვიზი; 4 გ: ს. ჯონსი; 3 ს: ჰუკი

კანადა: კუკი, დერ მერვე, ქულპანი, სპიცერი, პრიტჩარდი; მონრო, უილიამსი (კაპ); სტეფანი, ბიდლი, ქუდმორი, ჯეიმსი, ტაიტი, ტიერი, რიორდანი, სნოუ

სათადარიგოები: კარპენტერი, დ. ფლეტჩი, მ. ფლეტჩი, ბურაკი, ვუკესი, ფაირუჰრსტი, სმიტი

3 ლ: ქუდმორი, ქულპანი, უილიამსი; 1 გ: პრიტჩარდი

9 სექტემბერი. ბორდო

**შოტლანდია 56:10 პორტუგალია**

შოტლანდია: რ. ლამონტი, შ. ლამონტი, დი როლო, დივი, ს. ვებსტერი; პარკსი, ბლერი; ტეილორი, ჰოგი, ვაიტი (კაპ), ს. მიურეი, ჰაინისი, ი. მიურეი, ს. ლოუსონი, ჯეკობსენი

სათადარიგოები: ფორდი, კერი, მაკლეოდი, ბრაუნი, რ. ლოუსონი, პატერსონი, საუთველი

8 ლ: ლამონტი (2), ს. ლოუსონი, დივი, პარკსი, საუთველი, ბრაუნი, ფორდი; 8 გ: პარკსი (5), პატერსონი (3)

პორტუგალია: ლეალი, და. მატეუში-სოუზა, დი. მატეუში, კარვალიუ; დ. პინტო, ჟ. პინტო; ვ. უვა (კაპ), ჟ. უვა, სამოზა, გ. უვა, სპაშუკი, ფერეირა, კორდეირო

სათადარიგოები: მურე, კორეირა, მურინელო, კუტინიო, პისარა, კაბრალი, პორტელა

1 ლ: კარვალიო; 1 გ: პინტუ; 1 ს: პინტუ

9 სექტემბერი. ბორდო

**ირლანდია 32:17 ნამიბია**

ირლანდია: დემფსი, თრიმბლი, ოდრისკოლი (კაპ), დარსი, ჰიკი; ოგარა, სტრინგერი; ლემი, დ. ვოლესი, ისტერბი, ოკონელი, ოკალაჰანი, ჰეიესი, რ. ბესტი, ჰორანი

სათადარიგოები: ფლანერი, ოკელი, მერფი, ს. ბესტი, ნ. ბესტი, ბოსი, პ. ვოლესი

4 ლ: ოდრისკოლი, ფლანერი, ისტერბი, თრიმბლი; 3 გ: ოგარა; 2 ს: ოგარა

ნამიბია: ლოსტერი, ვიტბოი, ლანგენჰოვენი, ფანცული, ბოკი; ვესელსი, იანტხესი; ბურხერი, სენეკალი, ნიუვენჰუისი, ესტერჰუიზი, კაზომბიაზე, დიუტუა, ჰორნი, ლენსინხი (კაპ)

სათადარიგოები: მეიერი, რედეინჰუისი, მაკენზი, დიუპლესი, ფან ტონდერი, ბოუცი, აფრიკა

2 ლ: ნიუვენჰუისი, ფანცული; 2 გ: ვესელსი; 1 ს: ვესელსი

US OPEN 2007 **ამერიკის ღია პირველობა 2007** ჰარდი. საპრიზო 20 000 000 $

# ვინ თქვა, ძალამ აღმართი?



AFP ნიუ იორკიდან

## ჟუსტინმა ყველას ენინი აჩვენა

**ჟუსტინ ენინმა** გუშინ სვეტლანა კუზნეცოვას პატარა მასტერკლასი ჩაუტარა და კარიერაში მეშვიდე სლემტურნირი მოიგო. ნიუ იორკის „ფლეშინგ მედოუზზე“ კი ჭინკა ბელგიელისთვის ეს მეორე ტრიუმფი გახლდათ — აქ მან 2003 წელსაც იხეირა.

ენინმა ამერიკაში დამსახურებულად იპირველა, რაც ტიტულისკენ განვლილი გზით დაამტკიცა. ბენელუქსელს ხომ თანამედროვე ქალთა ჩოგბურთის სამ მძიმეწონასანთან, სამ ვეშაპთან მოუწია ჭიდილი — ჯერ ერთმანეთის მიყოლებით გზიდან ჩამოიშორა შავდა უილიამსები და მერე ამათ კუზნეცოვაც მიაყოლა, თან ისე, რომ არც ამ საძეულთან და არც მანამდე სეტიც წააგია. ხუმრობა ხომ არ არის უილიამსების დამარცხება, თან მაშინ, როცა დები ჯანზეც არიან, ჩოგანიც უჭირთ და ფორმასაც არ უჩივიან. ასეთი გმირობა აქამდე მხოლოდ მარტინა ჰინგისმა ჩაიდინა 2001 წელს. როცა ფორმის პიკზე იყო, ავსტრალიაში გზიდან ვინუსიც ჩამოიშორა და სერენაც. მაგრამ ექვსი წლის წინ, შავდებთან გადახდილი ბატალიების შემდეგ, ჰინგისი ისეთი გასავათებული იყო, ფინალში მის თამაშს ჯენიფერ კაპრიატისთან ჯახირი უფრო ერქვა.

სამაგიეროდ, ფინალში ენინმა იჯახირა კი არა, იფრინა და ამბიციებმოზღვავებულ კუზნეცოვას შანსიც კი არ დაუტოვა. ეს კი იმიტომ, რომ ჟუსტინი უილიამსებს ასევე იოლად გაუმკლავდა — ორივეს ორ სეტში და ფინალსაც კარგ განწყობაზე შეხვდა. განსაკუთრებით ვინუსთან ნახევარფინალური მატჩია გამოსარჩევი, როცა ამერიკელმა დევქალამ დიდებულად იჩოგნავა და აკრობატული ილეთებითაც აკეთა, მაგრამ ბელგიელი დარტყმების მრავალფეროვანი არსენალით მაინც ყოველთვის ჩიხში ამწყვევდა უფროსს უილიამსს.

ჰოდა, რაღა გასაკვირია, რომ უილიამსებგამოვლილმა ენინმა ასე იოლად მოუგო კუზნეცოვას. ამერიკელების და რუსის სათამაშო სტილის მსგავსების მიუხედავად, კუზნეცოვა არც უილიამსების პლასტიკას ფლობს და არც მათი ძალა აქვს, ბელგიელთან მეტ-ნაკლებად თანაბრად მაინც რომ ეომა.

ამ სამი ვეშაპის წაქცევით კი ენინმა ისიც გვაჩვენა, რომ დღესდღეობით კოხტა და კომბინაციური ჩოგბურთითაც შეიძლება წარმატებების მიღწევა და მხოლოდ ფიზიკური სიძლიერით — რაც თანამედროვე ჩოგბურთში დომინანტური ფაქტორი ხდება — ფონს გასვლა შეუძლებელი ხდება.

„ეს გამარჯვება ალბათ უმნიშვნელოვანესია ჩემს კარიერაში. თამაშის დონე, რაც ბოლო შეხვედრებში ვაჩვენე, უბრალოდ, გასაოცარია. მეც გაკვირვებული ვარ, არ მეგონა, რომ ამ სიმაღლეზე ასე სტაბილურად გავჩერდებოდი. წარმატება ერთი-ორად სასიამოვნოა იმიტომაც, რომ ძალიან მძიმე ბადე შემხვდა და ბევრს არ სჯეროდა, ფინალმდე მისვლას მაინც თუ შევძლებდი. მე ბევრი რამ მქონდა დასამტკიცებელი — ჩემი თავისთვის და არა ვინმე სხვისთვის და ეს მოვახერხე კიდეც. გასაოცარი ორი კვირა მქონდა“ — აღფრთოვანებული იყო ენინი.

ასე რომ, ბელგიელის ანგარიშზე უკვე ოთხი — როლან გაროსი“, ორი აშშ-სა და ერთი ავსტრალიის ღია პირველობებია.

### ჟუსტინ ენინი

დაიბადა 1982 წლის 1 ივნისს ლიეჟში (ბელგია). ბელგიის მოქალაქე. ცხოვრობს მარლიულში (ბელგია). სიმაღლე 168 სმ. წონა 57 კგ. პროფესიონალია 1999 წლიდან. WTA-ს რეიტინგის პირველი ნომერი (პირველად კლასიფიკაციას სათავეში ჩაუდგა 2003 წლის 20 ოქტომბერს). კარიერაში მოპოვებული აქვს ერთეულთა 34 (მათ შორის 7 დიდი სლემის: ავსტრალია — 2004; როლან გაროსი — 2003, 2005-07; აშშ — 2003, 2007) და წყვილთა 2 ტიტული. ჩატარებული 459 მატჩიდან 370 მოიგო და 89 წააგო. საპრიზოების სახით გამოიმუშავა 17 300 000 ამერიკული დოლარი.

### ენინი 2007 წლის USA Open-ზე

| | |
|---|---|
| პირველი წრე | ენინი — ჯულია გორგესი (გერმანია) 6:0 6:3 |
| მეორე წრე | ენინი — ცვეტანა პირონკოვა (ბულგარეთი) 6:4 6:0 |
| მესამე წრე | ენინი — ეკატერინა მაკაროვა (რუსეთი) 6:0 6:2 |
| მეოთხე წრე | ენინი — დინარა საფინა (15, რუსეთი) 6:0 6:2 |
| მეოთხედფინალი | ენინი — სერენა უილიამსი (8, აშშ) 7:6 6:1 |
| ნახევარფინალი | ენინი — ვინუს უილიამსი (12, აშშ) 7:6 6:4 |
| ფინალი | ენინი — სვეტლანა კუზნეცოვა (4, რუსეთი) 6:1 6:3 |

# როცა ფინალის მწვერვალია

## ნოვაკ ჯოკოვიჩმა ფინალი და ფედერერი გამოთხარა

**ნახევარფინალი**

როჯერ ფედერერი (1, შვეიცარია) — ნიკოლაი დავიდენკო (4, რუსეთი) 7:5 6:1 7:5; ნოვაკ ჯოკოვიჩი (3, სერბეთი) — დავიდ ფერერი (15, ესპანეთი) 6:4 6:4 6:3





AFP ნიუ იორკიდან

ნოვაკ ჯოკოვიჩი ის ბოლო ბარიერია, როჯერ ფედერერს მორიგი რეკორდისგან რომ აშორებს. ერთი მოგებაც და გენიალური შვეიცარიელი ზედიზედ მეოთხე აშშ-ს ღია პირველობას მოიგებს, რითაც ბილ ტილდენის 82 წლის წინანდელ რეკორდს გაიმეორებს.

ნიკოლაი დავიდენკოსგან ტყუილად ელოდნენ სასწაულს. რუსმა ისევ ვერაფერი გააწყო „მხიარული როჯერის“ წინააღმდეგ და ფარ-ხმალიც სულ რაღაც 2 საათსა და 18 წუთში დაყარა. არადა, რუსს დიდი იმედით უცქერდნენ, ეგებ შვეიცარიელის ჰეგემონიას რამე მოუხერხოსო — მოსკოველი ხომ ნახევარფინალმდე სეტწაუგებლად მივიდა. მაგრამ დავიდენკო ისევ უწვერული ლლაპივით გამოიყურებოდა ფედერერთან — ალპელმა გუშინ რუსთან პირადი შეხვედრების ანგარიში დაამრგვალა და 10:0 გახადა.

ისე, დავიდენკომ კარგად კი დაიწყო და პირველ სეტში 4:1 დაწინაურდა კიდეც, თუმც ფედერერი მალე წამოეწია, ბოლო გეიმში კი ბრეიკი გააკეთა და მთლიანად პარტიაც აცალა. მეორე სეტში შვეიცარიელი სულ მთლად შეაჯდა რუსს და კინკილა გეიმილა თუ დაუთმო. კოლიამ მესამე სეტში კიდევ ერთხელ გაიბრძოლა და 5:3 მიჰყავდა, მაგრამ ფედერერმა ისევ მოუმატა და ზედიზედ ოთხი გეიმის აღებით ფინალის საგზურიც გამოიწერა. რაღაც კატა-თაგვობანას გავდა ეს თამაში.

ფედერერისთვის ეს „ფლეშინ მედოუზზე“ ზედიზედ მოგებული 26-ე მატჩი გახლდათ და ერთიც თუ მიუმატა, ივან ლენდლის მიღწევას გაიმეორებს. გარდა ამისა, ფედერერი ზედიზედ მეათე სლემტურნირის ფინალში გავიდა, რაც ასევე რეკორდია — აქამდე საუკეთესო მიღწევად ზედიზედ შვიდ ფინალში გასვლა ითვლებოდა.

„მხიარული როჯერი“ ფინალშიც უეჭველი ფავორიტია ჯერ ერთი იმიტომ, რომ სლემტურნირების გადამწყვეტ მატჩებში 13-ჯერ უთამაშია, რომელთაგან მხოლოდ ორში დამარცხდა. და მეორეც, მას რაფაელ ნადალთან თამაში არ მოუწევს — ესპანელი კი ერთადერთია, ფედერერისთვის სლემტურნირის ფინალი რომ მოუგია. თუ იმასაც გავიხსენებთ, რომ თავის მომავალ მეტოქე ჯოკოვიჩს ალპელი პირად შეხვედრებში 4:1-ს უგებს, მაშინ შვეიცარიელის შანსები ასპროცენტიანად მოჩანს.

თუმც სულ სხვა განწყობაზეა თავად ახალგაზრდა სერბი, რომელიც თავის პირველ სასლემტურნირო ფინალს ითამაშებს. ბალკანელი თავს უიმედოდ სულაც არ მიიჩნევს და ფედერერს ომსაც ჰპირდება, მით უმეტეს, რომ ის ერთადერთი შემთხვევა, როცა ნოვაკი „მხიარულ როჯერს“ მოერია, ერთი თვის წინ იყო, მონრეალის მასტერსის ფინალში. ამრიგად, სერბს კარგად ახსოვს, რა ესაჭიროება ფედერერის წასაქცევად.

მეტოქეს თავად როჯერიც უფრთხის და ჯოკოვიჩის პროგრესზე საუბრობს — „კარგად მახსოვს მასთან პირველი შეხვედრა — ეს მონაკოში მოხდა და მაშინ სამ სეტში მოვიგე. როცა მის შესახებ მკითხეს, ვუპასუხე „არცთუ შთამბეჭდავი იყო-მეთქი“. მაგრამ მას შემდეგ მან საოცარი პროგრესი განიცადა. დღესდღეობით ის ფაქტობრივად სრულყოფილი ჩოგბურთელია და თითქმის ყველა კომპონენტში ძლიერია. თუმც ჩვენ უკვე ხუთჯერ ვითამაშეთ და რაიმე სიახლეს მისგან არ ველი. თან ეს მისთვის პირველი ასეთი ფინალია და წესით, უნდა ნერვიულობდეს“ — ეს შეიძლება ფედერერის ჩვეული ჯენტლმენობაა, მაგრამ შვეიცარიელი მეტოქეს სათანადოდ რომ აფასებს, ფაქტია.

ჯოკოვიჩი კი უკვე მეცხრე ცაზეა და ფინალის წინ ნამეტანი პატრიოტულად არის განწყობილი — „ეს ძალიან ბევრს ნიშნავს ჩემთვის, ძალიან ბევრს. აქ ფინალში გასვლა და საერთოდ წლეულს ჩემი გამოსვლა უბრალოდ, ფანტასტიკურია. თან ძალიან მეამაყება, რომ ჩემი ქვეყნის სახელს დავიცავ — მე ხომ პირველი სერბი ვარ, ვინც სლემტურნირის ფინალში ითამაშებს. ვერც კი წარმოიდგენთ, სერბეთში რა ხდება — იქ ჩოგბურთი განსაკუთრებით პოპულარული არასდროს ყოფილა, მაგრამ ახლა ამ სპორტის ნამდვილი ბუმია და ფინალიც თუ მოვიგე, ალბათ სერბეთი საერთოდ საჩოგბურთო ქვეყნად გადაიქცევა“

**კახა ლომჯავაძე**

ფორმულა 1. 58-ე მსოფლიოს ჩემპიონატი. მეცამეტე ეტაპი

# მაკლარენის დუბლმა ფერარი იტალიაში დაამთავრა




**იტალიელი** მართლაც და გადარეული მეფორმულე ტიფოზები თავიანთი ეროვნული სიამაყისგან გუშინ, ცხადია, მხოლოდ გამარჯვებას ელოდნენ, მაგრამ ფანატიკური მხარდაჭერის მიუხედავად, რაც, ბუნებრივია, რვაას ცხენისძალიანი მონსტრების ღმუილისას არავის ესმის, „სკუდერია-ფერარიმ" ორმაგდუბლიანი ნოკაუტი მიიღო, თანაც სად — მონცაში, თავის ტერიტორიაზე და ამის შედეგად დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ ორივე, პილოტ-გუნდურ ჩათვლაში იტალიელმა „წითლებმა" ბრიტანულ „მაკლარენ-მერსედესთან" ბრძოლა უკვე წააგეს.

— ყოველი დარჩენილი რბოლა ჩემთვის უდიდესი მნიშვნელობისაა და ძალიან მინდა, ხვალ ფინიშთან პირველი მივიდე. მონცაში არასოდეს გამიმარჯვია. ეს მართლაც უნიკალური ტრასაა, მაგრამ უფრო მეტად წლევანდელ რთულ სეზონში ტიტულის მოგება მსურს და თუ ეს მოხდება, გამარჯვება ჩემთვის შარშანდელზე უფრო მნიშვნელოვანი იქნება, მიუხედავად იმისა, რომ მაშინ მიხაელ შუმახერს ვებრძოდი. ახლა ლიდერთან ხუთ ქულას ვაგებ, თუმც რადგან ხვალ პოულ-პოზიციიდან დავიწყებ რბოლას, წარმატების დიდი შანსი მაქვს, ისევე როგორც ყველა დარჩენილ რბოლაში და ჩემპიონობის მოსაპოვებლად წარმოუდგენელ მოტივაციას ვგრძნობ — ეს ფერნანდომ შაბათს, კვალიფიკაციის მოგების შემდეგ თქვა.




AFP მონაცემები

მართალია, ტრადიცია-სტატისტიკით იტალიის გრან პრი ფერარისეულად ითვლება, მაგრამ, ვფიქრობთ, ამჯერად სწორედ „აუტოდრომო-ნაციონალეზე" დაკარგა „სკუდერიამ" წლევანდელი სატიტულო შანსი. არადა, თავისიანების მხარდასაჭერად წითლების საკომანდო პუნქტზე გამოჩნდნენ შვიდგზის ჩემპიონი მიხაელ შუმახერი, რაც წლეულს იშვიათია და თვით „ფერარის" პრეზიდენტი ლუკა დი მონტეძემოლო, რაც უფრო მეტად იშვიათია.

რაღა დაგვრჩენია ფაქტების კონსტატაციის გარდა, მით უმეტეს, რომ ისინი ალონსოს სასარგებლოდ მეტყველებს.

პოულის მომგებმა ფერნანდომ როგორც დაიწყო რბოლა ყველაზე წინ, ფინიშამდე არავის მისცა შებრძოლების საშუალება, თანაც უსწრაფესი წრეც მისი იყო. ასე რომ, იტალიაში პირველად გაიმარჯვა და თანაც ჰეთ თრიქით (პოულ-პოზიცია, უსწრაფესი წრე, მოგება) და სულ რაღაც სამ ქულამდე შეამცირა გენერალურ ლიდერ-თანაგუნდელ ლუის ჰემილტონთან ჩამორჩენა.

სტარტზე მესამე ფელიპე მასა ნანდოს თავიდან მედგრად კი ეწინააღმდეგებოდა, მაგრამ მალე ბოლიდმა უმტყუნა და ბრძოლას გამოეთიშა.

მეორე სკუდერიელ კიმი რაიკონენს განსხვავებული, ერთბოქსიანი ტაქტიკა ჰქონია და იქნებ წარმატებაც მოეტანა მისთვის, მაგრამ მისმა მანქანამაც მოსაგებად ვერ გაქაჩა.

არადა, მეორე, გვიანი პიტსტოპის შემდეგ „ცივი" ფინელი ტრასას ჰემიზე წინ კი დაუბრუნდა, თუმც ორიოლ წრეში ბრიტანელმა მეორე პოზიციის დაბრუნება მოახერხა.

**გია ახალაძე**

### რბოლის შედეგები

**იტალიის დიდი პრიზი**
**9 სექტემბერი. მონცა**
დისტანცია 53 წრე — 306,720 კმ

| | | | |
|---|---|---|---|
| 1. | (1) | ალონსო (მაკლარენი) | 1:18.37,8 (234,1 კმ/სთ) |
| 2. | (2) | ჰემილტონი (მაკლარენი) | ჩამორჩა 6,1 |
| 3. | (5) | რაიკონენი (ფერარი) | 27,3 |
| 4. | (4) | ჰაიდფელდი (BMW-ზაუბერი) | 56,6 |
| 5. | (6) | კუბიცა (BMW-ზაუბერი) | 1.00,6 |
| 6. | (8) | როზბერგი (უილიამსი) | 1.05,8 |
| 7. | (7) | კოვალაინენი (რენო) | 1.06,8 |
| 8. | (10) | ბატონი (ჰონდა) | 1.12,2 |
| 9. | (11) | ვებერი (რედ ბული) | 1.15,9 |
| 10. | (12) | ბარიკელო (ჰონდა) | 1.17,0 |
| 11. | (9) | ტრული (ტოიოტა) | 1.17,7 |
| 12. | (15) | ფიზიკელა (რენო) | 1 წრით |
| 13. | (13) | ვურცი (უილიამსი) | 1 წრით |
| 14. | (14) | დევიდსონი (სუპერ აგური) | 1 წრით |
| 15. | (18) | შუმახერი (ტოიოტა) | 1 წრით |
| 16. | (17) | სატო (სუპერ აგური) | 1 წრით |
| 17. | (19) | ლიუცი (ტორო როსო) | 1 წრით |
| 18. | (16) | ფეტელი (ტორო როსო) | 1 წრით |
| 19. | (21) | სუტილი (სპაიკერი) | 1 წრით |
| 20. | (22) | იამამოტო (სპაიკერი) | 1 წრით |

**რბოლას გამოეთიშნენ**

| | | |
|---|---|---|
| (3) | მასა (ფერარი) | გაიარა 11 წრე |
| (20) | კულჰარდი (რედ ბული) | 3 |

ფრჩხილებში — საკვალიფიკაციო ადგილი

**პოული**
ალონსო 1.21,997 (254,4 კმ/სთ)

**საუკეთესო წრე**
ალონსო 1.22,871 (251,7 კმ/სთ)

| Formula 1 | ავსტრალია 18 მარტი | მალაიზია 8 აპრილი | ბაჰრეინი 15 აპრილი | ესპანეთი 13 მაისი | მონაკო 27 მაისი | კანადა 10 ივნისი | აშშ 17 ივნისი | საფრანგეთი 1 ივლისი | დ.ბრიტანეთი 8 ივლისი | გერმანია 22 ივლისი | უნგრეთი 5 აგვისტო | თურქეთი 26 აგვისტო | იტალია 9 სექტემბერი | ბელგია 16 სექტემბერი | იაპონია 30 სექტემბერი | ჩინეთი 7 ოქტომბერი | ბრაზილია 21 ოქტომბერი | ჯამი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 ჰემილტონი (მაკლარენი, დ. ბრიტანეთი) | 6 | 8 | 8 | 8 | 8 | ■10 | ■10 | 6 | ■6 | – | ■10 | 4 | 8 | | | | | 92 |
| 2 ალონსო (მაკლარენი, ესპანეთი) | 8 | 10 | 4 | 6 | ■10 | 2 | 8 | 2 | 8 | 10 | 5 | 6 | ■10 | | | | | 89 |
| 3 რაიკონენი (ფერარი, ფინეთი) | ■10 | 6 | 6 | – | 1 | 4 | 5 | 10 | 10 | ■– | 8 | 8 | 6 | | | | | 74 |
| 4 მასა (ფერარი, ბრაზილია) | 3 | ■4 | ■10 | ■10 | 6 | – | 6 | ■8 | 4 | 8 | – | ■10 | – | | | | | 69 |
| 5 ჰაიდფელდი (BMW-ზაუბერი, გერმანია) | 5 | 5 | 5 | – | 3 | 8 | – | 4 | 3 | 3 | 6 | 5 | 5 | | | | | 52 |
| 6 კუბიცა (BMW-ზაუბერი, პოლონეთი) | – | – | 3 | 5 | 4 | – | | 5 | 5 | 2 | 4 | 1 | 4 | | | | | 33 |
| 7 კოვალაინენი (რენო, ფინეთი) | – | 1 | – | 2 | – | 5 | 4 | – | 2 | 1 | 1 | 3 | 2 | | | | | 21 |
| 8 ფიზიკელა (რენო, იტალია) | 4 | 3 | 1 | – | 5 | – | – | 3 | 1 | – | – | – | – | | | | | 17 |
| 9 ვურცი (უილიამსი, ავსტრია) | – | – | – | – | 2 | 6 | – | – | – | 5 | – | – | – | | | | | 13 |
| 10 როსბერგი (უილიამსი, გერმანია) | 2 | – | – | 3 | – | – | – | – | – | – | 2 | 2 | 3 | | | | | 12 |

ვებერი — 8, კულჰარდი — 8, ტრული — 7, შუმახერი — 5, სატო — 4, ბატონი — 2, ფეტელი — 1 ქულა

■ პოულ-პოზიცია

**კონსტრუქტორთა თასი**

| | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 მაკლარენი | 14 | 18 | 12 | 14 | 18 | 12 | 18 | 8 | 14 | 10 | – | 10 | 18 | | | | | 166 |
| 2 ფერარი | 13 | 10 | 16 | 10 | 7 | 4 | 11 | 18 | 14 | 8 | 8 | 18 | 6 | | | | | 143 |
| 3 BMW-ზაუბერი | 5 | 5 | 8 | 5 | 7 | 8 | 1 | 9 | 8 | 5 | 10 | 6 | 9 | | | | | 86 |
| 4 რენო | 4 | 4 | 1 | 2 | 5 | 5 | 4 | 3 | 3 | 1 | 1 | 3 | 2 | | | | | 38 |
| 5 უილიამსი | 2 | – | – | 3 | 2 | 6 | – | – | – | 5 | 2 | 2 | 2 | | | | | 25 |

რედ ბული — 16, ტოიოტა — 12, სუპერ აგური — 4, ჰონდა — 2 ქულა



ეროვნული ბიბლიოთეკა

# არ ჩანს კაცი!

**ორშაბათის** მერე ამაოდ ეძებენ ნევადის ცაში დაკარგულ 63 წლის ამერიკელ მილიარდელს, დედამიწაზე, წყალსა და ჰაერში მსოფლიოს 116 რეკორდის ავტორსა და თავგადასავლების მაძიებელ სტივ ფოსეტს. მის მოსაძებნად ამერიკის სამოქალაქო ავიაციისა და შეიარაღებული ძალების ოცამდე თვითმფრინავსა და შვეულმფრენს ახლა ეროვნული გვარდიის ჯარისკაცებიც შეუერთდნენ. მაშველები უკვე 1555 კვადრატულ კილომეტრზე მდებარე უდაბნოებს, მთებსა და ხეობებს ამოწმებენ, მაგრამ ერთ-ერთი პილოტი ამბობს, ჩვენი ძალისხმევა იგივეა, თივის ზვინში ნემსი რომ ვეძებოთო.

სტივ ფოსეტი, რომელსაც დედამიწაზე, წყალზე თუ ჰაერში სიკვდილი უთვალავჯერ გამოუწვევია და მისთვის თვალებში ჩაუხედავს, მუდამ გამარჯვებული გამოდიოდა. ახლა ამ უმამაცესი ადამიანის მეგობარი, მასავით მილიარდელი და თავგადასავლების მოყვარული, ბრიტანელი რიჩარდ ბრენსონი, რომელიც იმედოვნებდა, სტივს გადარჩენის საოცარი უნარი აქვს და ალბათ სადმე ზის და მაშველს ელისო, უკვე ძალიან შეშფოთებულია და ცუდი ეჭვები ღრღნის.

„ფოსეტი მთელ მსოფლიოში საუკეთესო პილოტია, მაგრამ ამდენი ხნის განმავლობაში რომ არ ჩანს და არც რადიოკავშირზე გამოსულა, ეს საგანგაშოა" — თქვა რიჩარდ ბრენსონმა.

ფოსეტის მეგობრები და ჟურნალისტები იხსენებენ მის სიტყვებს, რომელიც ამ ზაფხულს ამერიკის ავიაციის დიდების დარბაზში მისებასთან დაკავშირებით გამართულ საზეიმო ცერემონიალზე თქვა — „ვიმედოვნებ, ჯილდოს იმიტომ არ მაძლევთ, რომ ჩემი კარიერა დასრულებულია. ჯერ დის სიმღერა ჯერ არ მიმღერია"

ორშაბათს სწორედ ამის დასამტკიცებლად აფრინდა ნევადის ცაში, რათა იქიდან რეაქტიულძრავიანი ავტომობილით სისწრაფის მსოფლიოს რეკორდის დასამყარებლად შესაფერისი ადგილი მოეძებნა, მაგრამ...

**ავთანდილ ჭყვიშელი**



კრივი

# ვერცხლის რომანი

**კადეტ მოკრივეთა** მსოფლიოს ჩემპიონატი საქართველოს ნაკრებმა შარშანდელის მსგავსად, ერთი ვერცხლის მედლით დაასრულა. რამაზ ნიკოლაძის ცხრაკაციანი გუნდიდან ბაქოს რინგზე ყველაზე შო-ჩალად 70-კილოგრამიანმა რომან თავაძემ იჩხუბა. სამი ბრძოლის მომგები ჩვენებური გუშინწინ ფინალში კუბელმა რეი პლატმა დაამარცხა. ჩემპიონის ბედი ორ რაუნდში გაირკვა, თუმცა აქვე ვთქვათ, რომ პირველი რაუნდი თავაძემ მოიგო.

გუნდურ ჩათვლაში საქართველომ სერბეთთან ერთად მეთორმეტე ადგილი დაიკავა. პირველობა კი მასპინძლებმა არავის დაუთმეს. აზერბაიჯანმა ცამეტი წონითი კატეგორიიდან შვიდში მედალი მოიპოვა, აქედან ორ-ორი ოქრო-ვერცხლის და სამიც ბრინჯაოსი.

**ოთარ გალლაძელიძე**

პლაჟის ფრენბურთი

# ქართული ცხრიანი პოლონეთში

**მსოფლიოს** საპლაჟბურთო ტურის პოლონურ ეტაპზე ქართულმა წყვილმა გეორ-გიამ მეცხრე ადგილი დაიკავა. ტურნირზე მეთერთმეტე ნომრად განთესილმა ჩვენებურებმა საბედისწერო მეორე მარცხი 0:2 (18:21 18:21), გერმანელ მეოთხე ნომრებთან — ბრინკთან და დიკმანთან იგემეს.

შეჯიბრის საპრიზო ფონდი ორასი ათასი ამერიკული დოლარი იყო. აქედან გეორგ-გიას შვიდი ათასი ერგო. ამასთან, მათ 230 სალიცენზიო ქულაც მოიპოვეს, რაც პეკინის ოლიმპიადის საგზურს კიდევ უფრო მიაახლოვებთ. პოლონურ ტურნირამდე კი მსოფლიოს რეიტინგში მეთოთხმეტე ადგილზე იყვნენ.

**ოთარ მხეიძე**

# სარბიელი და კროკო
# წარმოგიდგენთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | ინგლისი. პრემიერლიგა | | | | | | |
| | | 15 სექტემბერი | | | | | | |
| 15:00 | 1 | ევერტონი-მანჩესტერი | 4.20 | 3.40 | 1.70 | 1.87 | 1.21 | 1.13 |
| 15:45 | 2 | პორტსმუთი-ლივერპული | 4.50 | 3.30 | 1.70 | 1.90 | 1.23 | 1.12 |
| 16:30 | 3 | ტოტენჰემი-არსენალი | 2.70 | 3.20 | 2.30 | 1.46 | 1.24 | 1.33 |
| 18:00 | 4 | ბირმინგემი-ბოლტონი | 2.40 | 3.20 | 2.60 | 1.37 | 1.24 | 1.43 |
| 18:00 | 5 | სანდერლენდი-რედინგი | 2.25 | 3.20 | 2.80 | 1.32 | 1.24 | 1.49 |
| 18:00 | 6 | ვესტ ჰემი-მიდლსბრო | 1.90 | 3.20 | 3.65 | 1.19 | 1.24 | 1.70 |
| 20:15 | 7 | ჩელსი-ბლექბერნი | 1.30 | 4.30 | 9.00 | 1.00 | 1.13 | 2.90 |
| 18:00 | 455 | უიგანი-ფულემი | 1.90 | 3.20 | 3.60 | 1.19 | 1.24 | 1.69 |
| | | 16 სექტემბერი | | | | | | |
| 19:00 | 8 | სიტი-ასტონ ვილა | 2.00 | 3.20 | 3.30 | 1.23 | 1.24 | 1.62 |
| | | 17 სექტემბერი | | | | | | |
| 23:00 | 9 | დერბი-ნიუკასლი | 3.80 | 3.20 | 1.85 | 1.73 | 1.24 | 1.17 |
| | | ინგლისი. კონფერენსი | | | | | | |
| | | 10 სექტემბერი | | | | | | |
| 22:45 | 423 | სტივენეიჯი-სტეფორდი | 1.35 | 4.00 | 7.00 | 1.00 | 1.13 | 2.54 |
| 22:45 | 424 | ბარტონი-ტორკი | 2.60 | 3.20 | 2.30 | 1.43 | 1.22 | 1.33 |
| | | შოტლანდია. პრემიერლიგა | | | | | | |
| | | 15 სექტემბერი | | | | | | |
| 18:00 | 56 | გრეტნა-კილმარნოკი | 3.40 | 3.20 | 1.95 | 1.64 | 1.23 | 1.21 |
| 15:30 | 57 | პართსი-რეინჯერსი | 4.00 | 3.40 | 1.75 | 1.83 | 1.21 | 1.15 |
| 18:00 | 58 | აბერდინი-მოზერუელი | 1.70 | 3.30 | 4.40 | 1.12 | 1.22 | 1.88 |
| 18:00 | 59 | სელტიკი-ინვერნესი | 1.12 | 6.20 | 15.00 | 1.00 | 1.04 | 4.38 |
| 18:00 | 60 | დანდი იუნაიტედი-სტ.მირენი | 1.70 | 3.30 | 4.45 | 1.12 | 1.23 | 1.89 |
| 18:00 | 61 | ფოლკირკი-ჰიბერნიანი | 3.25 | 3.20 | 2.00 | 1.61 | 1.23 | 1.23 |
| | | შვედეთი. სუპერეტა | | | | | | |
| | | 10 სექტემბერი | | | | | | |
| 21:00 | 348 | ენჩიოპინგი-დეგერფორსი | 1.80 | 3.30 | 3.70 | 1.16 | 1.21 | 1.74 |
| 21:00 | 349 | სილვია-იონკოპინგი | 2.20 | 3.20 | 2.75 | 1.30 | 1.22 | 1.47 |
| | | ფინეთი | | | | | | |
| | | 10 სექტემბერი | | | | | | |
| 19:30 | 359 | იარო-ტამპერე | 3.70 | 3.20 | 1.85 | 1.71 | 1.23 | 1.17 |
| | | ჰოკეი | | | | | | |
| | | რუსეთი | | | | | | |
| | | 10 სექტემბერი | | | | | | |
| 19:00 | 425 | აკ ბარსი-მაგნიტოგორსკი | 1.50 | 4.20 | 2.90 | 1.10 | 1.00 | 1.71 |
| 19:00 | 426 | ლოკომოტივი ი-ამური | 1.12 | 6.50 | 8.00 | 1.00 | 1.00 | 3.58 |
| 19:00 | 427 | ნეფტეხიმიკი-ტრაქტორი | 1.25 | 5.00 | 3.80 | 1.00 | 1.00 | 2.15 |
| 19:00 | 428 | სევერსტალი-ვიტიაზი | 1.25 | 5.00 | 3.80 | 1.00 | 1.00 | 2.15 |

## I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10348 | ენჩიოპინგი-დეგერფორსი | 2.20 | 2.10 | 4.30 | 1.07 | 1.45 | 1.41 |
| 10349 | სილვია-იონკოპინგი | 2.60 | 2.00 | 3.50 | 1.13 | 1.49 | 1.27 |

## I ტაიმი/ძირითადი დრო

| | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11348 | ენჩიოპინგი-დეგერფორსი | 2.70 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.00 | 20.00 | 10.00 | 6.00 |
| 11349 | სილვია-იონკოპინგი | 3.30 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 4.80 |

### რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | ნაკ. | მეტ. |
|---|---|---|---|
| 12348 | ენჩიოპინგი-დეგერფორსი | 1.80 | 1.60 |
| 12349 | სილვია-იონკოპინგი | 1.80 | 1.60 |

### გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 13348 | ენჩიოპინგი-დეგერფორსი | 1.60 | 1.80 |
| 13349 | სილვია-იონკოპინგი | 1.55 | 1.85 |

### რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ვარიანტი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 14348 | ენჩიოპინგი-დეგერფორსი | 1.65 | 2.30 |
| 14349 | სილვია-იონკოპინგი | 1.80 | 2.00 |

### რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15348 | ენჩიოპინგი-დეგერფორსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15349 | სილვია-იონკოპინგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |

### ფრის გარეშე (ძირ დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 16348 | ენჩიოპინგი-დეგერფორსი | 1.30 | 3.00 |
| 16349 | სილვია-იონკოპინგი | 1.55 | 2.20 |

### გოლი: ლუწი-1 კენტი-2 (0:0 ითვლება ლუწად)

| | | | |
|---|---|---|---|
| 17348 | ენჩიოპინგი-დეგერფორსი | 1.85 | 1.95 |
| 17349 | სილვია-იონკოპინგი | 1.85 | 1.95 |

## შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე

# ევროპის 2008 წლის ჩემპიონატი. შესარჩევი ეტაპი

**A ჯგუფი**

**პორტუგალია 2:2 პოლონეთი**

0:1 ლევანდოვსკი (44), 1:1 მანიშე (50), 2:1 რონალდუ (73), 2:2 კრჟინოვეკი (87)

**პორტუგალია:** რიკარდუ, ბოსინგვა, მეირა, ბ. ალვეში, კანეირა (მიგელი 12), დეკუ, მანიშე, პეტიტი, რონალდუ, ნუნუ გომეში (კვარესმა 69), სიმაო (მუტინიუ 81)

**მწვრთნელი** ლუიშ ფელიპე სკოლარი

**პოლონეთი:** ბორუცი, ვასილევსკი, იოპი, ჟურლაკოვი, ბრონოვიცკი (გოლანსკი 55), ბლაშჩიკოვსკი, ლევანდოვსკი, დუდკა, შმოლიარეკი, კრჟინოვეკი, ჟურავსკი (მატუსიაკი 56)

**მწვრთნელი:** ლეო ბენჰაკერი

## მხარი პოლონეთს მიემხრო



პორტუგალია — პოლონეთი. ნუნუ გომეშმა საგოლე პასი მიითვალა

AFP ლოსაბრონიდან

**ბურთი** ძელს მოხვდა, მერე მეკარე რიკარდუს მხარზე და ბადეში შევარდა — ასე გავიდა მეორე გოლი პორტუგალიელთა კარში იაცეკ კრჟინოვეკის დარტყმის შემდეგ, რამაც პოლონელებს ქულა მოუტანა და ცხრილში ადგილი შეუნარჩუნა. „აი, ასეთია ფეხბურთი. ამას ვერაფრით ვერ ახსნი — დაიჩივლა ლუიშ ფელიპე სკოლარიმ — რიკარდუმდე ბურთი რამდენიმე ფეხბურთელს გასცდა, მაგრამ მაინცდამაინც ძელს და მეკარეს მოხვდა. ეს უიღბლობაა. პოლონელებმა დაცვაში კარგად ითამაშეს და მომენტების შექმნა გაგვიჭირდა.“

პირველი ტაიმის მიწურულს საჯარიმოს ხაზიდან იაკუბ ბლაშჩიკოვსკიმ დაარტყა, რიკარდუმ მოიგერია, მაგრამ მარიუშ ლევანდოვსკიმ საგოლედ დაამატა. შესვენების შემდეგ, მალევე, ნუნუ გომეშის პასით მანიშემ გაათანაბრა. მოგვიანებით გომეშის ნაცვლად რიკარდუ კვარესმა შევიდა, რომლის წამოწყებულ კომბინაციასაც გოლი მოჰყვა. სიმაუს საბაროსამ თავით დაუგდო კრიშტიანუ რონალდუს და მანჩესტერელმა მასპინძლები დააწინაურა, ბოლოს კი მოხდა ის, რაზეც თავშივე მოგახსენეთ.

**სერბეთი 0:0 ფინეთი**

**სერბებს** რომ მოეგოთ, მეორე ადგილზე გავიდოდნენ, მაგრამ ფინელთა დაცვა და მეკარე მაგრად იდგნენ. სტუმრებმა მთელი მატჩის განმავლობაში, [illegible] ერთი მომენტი შექმნეს. მე-17 წუთზე ჯონათან იოჰანსონმა თხუთმეტი მეტრიდან ღრუბლებში გაუშვა ბურთი. ამ საქმეში იოჰანსონს მასპინძლებიც არ ჩამორჩნენ და მათ მსგავსი რამ ხუთ-ექვსჯერ დაემართათ, სხვა შემთხვევაში კი ფინელთა მეკარი იუსი იასკელაინენი ყოჩაღობდა. ასე რომ, სერბებმა ვერ გაახარეს ნეკნებდამტვრეული მწვრთნელი ხავიერ კლემენტე, რომელსაც მოგებას ჰპირდებოდნენ. სტანკოვიჩის საჯარიმო იასკელაინენმა მოიგერია, კრასიჩმა ხელსაყრელი პოზიციიდან მცველს დაუმიზნა, ლაზოვიჩმა კი ხუთიოდ მეტრიდან ააცილა, ისევე, როგორც შეცვლაზე შესულმა ნიკოლა ჟიგიჩმა.

**ვაჟა ხუციშვილი**

**A ჯგუფი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პოლონეთი | 10 | 6 | 2 | 2 | 17:9 | 20 |
| ფინეთი | 10 | 5 | 3 | 2 | 11:6 | 18 |
| პორტუგალია | 9 | 4 | 4 | 1 | 18:8 | 16 |
| სერბეთი | 9 | 4 | 3 | 2 | 12:7 | 15 |
| ბელგია | 9 | 3 | 1 | 5 | 8:12 | 10 |
| სომხეთი | 8 | 2 | 2 | 4 | 4:8 | 8 |
| ყაზახეთი | 9 | 1 | 3 | 5 | 6:13 | 6 |
| აზერბაიჯანი | 8 | 1 | 2 | 5 | 4:17 | 5 |

12 სექტემბერი

**ფინეთი — პოლონეთი**
**ყაზახეთი — ბელგია**
**პორტუგალია — სერბეთი**

## თერიმს იუბილე მალტამ ჩაუშხამა



ემრე ბელოზოღლუს სირცხვილით თავი ვერ აუწევია



იუბილარს ყანწი ხელიდან გაუვარდა

AFP ლოსაბრონიდან

**C ჯგუფი**

**მალტა 2:2 თურქეთი**

1:0 საიდი (41), 1:1 ჰალილ ალტინტოპი (45), 2:1 შემბრი (76), 2:2 ჩეტინი (78)

**ფატიჰ თერიმი,** რომელსაც 4 სექტემბერს 54 წელი შეუსრულდა, საჩუქრად სამ ქულას ითხოვდა, მაგრამ მალტელებმა დაბადების დღე ჩაუმწარეს. ჩეხმა ლუშან ფიტცელმა მალტას ხელი დაატყო და თურქეთი კინაღამ დაამარცხა. მასპინძლები ტაიმის მიწურულს, კუთხურის შედეგად დაწინაურნენ. როდერიკ ბრიფის ჩაწოდებულ ბურთს ბრაიან საიდმ დაუხვედრა ფეხი და ანგარიში გახსნა. თურქები უმალ გამოცოცხლდნენ და იბრაჰიმ უზულმეზის პასით ჰალილ ალტინტოპმა გაათანაბრა. მეორე ტაიმის დასაწყისიდან სტუმრები გააფთრებულნი უტევდნენ, მაგრამ მასპინძლები არანაკლებ გულიანად იცავდნენ კარს. ოსმალოებს კონტრშეტევა გაეპარათ და მიფსუდის ჩაწოდებულზე ანდრე შემბრიმ იხეირა. ფატიჰ თერიმი და 60-მილიონიანი თურქეთი სირცხვილისგან სერვეტ ჩეტინმა იხსნა, რომელმაც ალტინტოპის კუთხურზე იხეირა — თავური დარტყმით გაათანაბრა.

**უნგრეთი 1:0 ბოსნია**

1:0 გერა (39 პ)

**ამხანაგურ** მატჩში იტალიის მძლეველმა უნგრეთმა ბოსნიაც დაამარცხა, რომელსაც შარშან სტუმრადაც მოუგო. შარშან სამი გოლი გაუტანეს ახლა კი მხოლოდ ერთს დასჯერდნენ. რობერტ ფეიცეშინის წაქცევისთვის დანიშნული პენალტი ზოლტან გერამ გამოიყენა. კარგად ითამაშა მასპინძელთა მეკარემ მარტონ ფილეპმა, ვინც ზლატან მუსლიმოვიჩს შესვენებამდე ორჯერ არ გაატანინა. უნგრელებს სხვაობის გაზრდა მეორე ტაიმში შეეძლოთ, მაგრამ ამჯერად ბოსნიელთა მეკარე ადნან გუშომ იყოჩაღა, რომელმაც ფეიცეშინს საჯარიმოდან დარტყმული აუღო.

**მოლდოვა 0:1 ნორვეგია**

0:1 ივერსენი (49)

**ნორვეგიელებმა** თურქების ფრით ისარგებლეს, მაჩანჩალა მოლდოვას მოუგეს და მეორე ადგილზე გადაბრძანდნენ. მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატის შესარჩევშიც შეხვდნენ ეს გუნდები და მაშინ კიშინიოვში თამაში ფრედ დასრულდა. ნორვეგიამ ამჯერად ისე ვერ გაილაღა, როგორც წინა მატჩში უნგრეთთან (4:0), მაგრამ გამარჯვებისთვის ერთი გოლიც ეყო. მეორე ტაიმის დასაწყისში სტეფან ივერსენმა თავური დარტყმით ბურთი ცხრიანში შეაგდო და შესარჩევში მეოთხე გოლი მიითვალა. შეხვედრის მიწურულს ვიორელ ფრუნზემ ბურთი ძელს გაარტყა, სერგეი ლაშჩენკოვს კი ჰოკონ ოპდალმა აუღო.

**C ჯგუფი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| საბერძნეთი | 7 | 6 | 0 | 1 | 12:5 | 18 |
| ნორვეგია | 8 | 5 | 1 | 2 | 18:6 | 16 |
| თურქეთი | 7 | 4 | 2 | 1 | 18:8 | 14 |
| ბოსნია | 8 | 4 | 1 | 3 | 14:15 | 13 |
| უნგრეთი | 8 | 3 | 0 | 5 | 8:14 | 9 |
| მალტა | 8 | 1 | 2 | 5 | 7:17 | 5 |
| მოლდოვა | 8 | 0 | 2 | 6 | 4:16 | 2 |

12 სექტემბერი

**ნორვეგია — საბერძნეთი**
**თურქეთი — უნგრეთი**
**ბოსნია — მოლდოვა**

## სოლი გაგრძელდა

**„პორტსმუთის“** მცველმა სოლ კემპბელმა კლუბთან კონტრაქტი 2009 წლამდე გაახანგრძლივა. 32 წლის ფეხბურთელი შარშან „არსენალიდან“ გადავიდა „პორტსმუთში“, დაცვაში მთავარი კაცია და კაპიტნის სამკლავურიც მოირგო. „კონტრაქტის პირობებზე მოლაპარაკება ცოტა გაჭიანურდა, მაგრამ ყველაფერი მოვაგვარეთ“ — თქვა კემპბელმა.

## კოპელის კამერუნი

**ჰორსტ კოპელმა** განაცხადა, რომ კამერუნის ნაკრების მწვრთნელად ნიშნავენ და გუნდს მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე უთავკაცებს. „მე მივაღწიე შეთანხმებას კამერუნის ფეხბურთის ფედერაციასთან“ — განაცხადა 59 წლის მწვრთნელმა. ჰორსტ კოპელი შარშან ივნისში „მიონხენგლადბახიდან“ გაათავისუფლეს. იგი ერთ-ერთი იყო 78 კანდიდატს შორის, რომელიც კამერუნელთა ფეხბურთის ფედერაციამ შეარჩია.

## ფრეის თვე

**შვეიცარიის** ნაკრების კაპიტანი და „დორტმუნდის“ ფორვარდი ალექსანდრ ფრეი ვარჯიშზე დაშავდა და ერთ თვეზე მეტს ველარ ითამაშებს. იგი ცოტა ხნის წინ მომჯობინდა ტრავმისგან, რომელმაც ბუნდესლიგის სეზონის დასაწყისი გამოატოვებინა. „დორტმუნდში“ შარშან გადავიდა და 32 მატჩში 16 გოლი მიითვალა, ნაკრებში კი 56 შეხვედრაში 32 გაუტანია.

**ვაჟა ხუციშვილი**

## ევროპის 2008 წლის ჩემპიონატი. შესარჩევი ეტაპი

# ჩეხმა სლოვაკეთი იხსნა



უელსი — გერმანია. მიროსლავ კლოზემ დუბლი მიითვალა



სან მარინო — ჩეხეთი. იან კოლერს მუხლითაც ვერ აჩერებენ

### D ჯგუფი

**უელსი 0:2 გერმანია**

**0:1, 0:2 კლოზე (5, 60)**

**გერმანია:** ლემანი, ფრიდრიხი, მერტესაკერი, მეცელდერი, იანდერი (ტროხოვსკი 46), ჰილბერტ, ჰიტცლშპერგერი, იანსენი, შვაინშტაიგერი, კურანი (პოდოლსკი 72), კლოზე (ჰელმსი 87)

**მწვრთნელი:** იოახიმ ლიოვი

**მიროსლავ კლოზემ** კაპიტნის სამკლავური მოირგო და თამაშიც მოიგო. „ბაიერნის" თავდამსხმელმა პირველად უკაპიტნა ნაკრებს და 70-ე მატჩში დუბლი შეასრულა. კევინ კურანის პასით კლოზემ მეხუთე წუთზე ანგარიში გახსნა. მეორე ტაიმში ბაიერნელმა რობერტო ჰილბერტის ჩაწოდებულს დაჰკრა თავი და 35-ე სანაკრებო გოლი მიითვალა. „ჩვენ ბევრი ახალგაზრდა, ნიჭიერი ფეხბურთელი გვყავს და ისინი საუცხოოდ თამაშობენ" — შეაქო კლოზემ თანაგუნდელები.

„ჩვენ ჩეხებს უკვე ხუთი ქულით გავუსწარით და საქმე გავიიოლეთ. ეს უკვე დიდი ნაბიჯია ევროპის ჩემპიონატისკენ. მიხარია გამარჯვება და ვფიქრობ, რომ მაღალი კლასის ფეხბურთი ვითამაშეთ" — განაცხადა იოახიმ ლიოვმა.

„მიუხედავად იმისა, რომ პირველ ტაიმში ბევრი საგოლე მომენტიდან მხოლოდ ერთი გამოვიყენეთ, მაინც კმაყოფილი ვარ, რადგან თამაშს თავიდან ბოლომდე ვაკონტროლებდით" — თქვა ბასტიან შვაინშტაიგერმა, რომელიც მწვრთნელმა ნახევარდაცვის ცენტრში გამწესა და „ბაიერნის" ფეხბურთელმაც საქმე ჩინებულად შეასრულა.

უელსელთა ფორვარდი ფრედი ისტვუდი მატჩამდე იკვეხნიდა, იენს ლემანს გავუტანო, თუმც ერთი შანსიც არ ჰქონია. ჯეისონ კუმასს და მის შემცვლელ რობერტ ერნშოუს შეეძლოთ გატანა, მაგრამ სიზუსტე დააკლდათ.

**სლოვაკეთი 2:2 ირლანდია**

**0:1 აილენდი (7), 1:1 კლიმპლი (37), 1:2 დოილი (57), 2:2 ჩეხი (90)**

**ირლანდიას** ბოლო წუთზე გაუსხლტა სამი ქულა, რამაც ჯგუფიდან გასვლის შანსი შეუმცირა. მარეკ ჩეხმა შორიდან დაარტყა, ბურთი რიჩარდ დანს შეეხო, მიმართულება იცვალა და სტუმართა კარში აღმოჩნდა. ასე გაათანაბრეს სლოვაკებმა თამაშის მიწურულს და შესარჩევში პირველი ფრე გაიფორმეს.

ირლანდია მეშვიდე წუთზე ფლანგური შეტევის შედეგად დაწინაურდა. კევინ კილბეინმა მარცხნიდან ჩააწოდა, სტივენ აილენდმა კი საგოლედ დაარტყა. ტაიმის ბოლოს მაროშ კლიმპლმა თავურით ახლოდან გაათანაბრა, მას შემდეგ, რაც იან დურიცასგან თავით პასი მიიღო. კევინ დოილიმ კი მეორე ნახევრის დაწყებიდან თორმეტ წუთში დაახლოებით 25 მეტრიდან გაუტანა შტეფან სენეცკის, ხოლო შეხვედრის მიწურულს მარეკ ჩეხმა იღბალა გოლი შეაგდო.

**სან მარინო 0:3 ჩეხეთი**

**0:1 როსიცკი (33), 0:2 იანკულოვსკი (75), 0:3 კოლერი (90)**

**სანამ** ჩეხები გაიტანდნენ, სტუმართა მეკარემ ორჯერ იხსნა კარი კარლო ვალენტინისა და ენდი სელვას დარტყმების შემდეგ. ნახევარი საათის თავზე კი ტომაშ როსიცკიმ ანგარიში გახსნა. მარეკ კულიჩს ალდო სიმონჩინიმ აულო, დამატებაზე კი როსიცკიმ შეაგდო. მეორე ტაიმში მასპინძლებს დელა ვალე გაუძევეს და ამის მერე სტუმრებმა გაილაღეს. მარეკ იანკულოვსკიმ საჯარიმო დარტყმით სხვაობა გაზარდა, ხოლო იან კოლერმა სტანისლავ ვლჩეკის ჩაწოდებულ ბურთს თავი საგოლედ დაჰკრა.

**ვაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გერმანია | 8 | 7 | 1 | 0 | 31:4 | 22 |
| ჩეხეთი | 8 | 5 | 2 | 1 | 18:4 | 17 |
| ირლანდია | 8 | 4 | 2 | 2 | 14:10 | 14 |
| სლოვაკეთი | 8 | 3 | 1 | 4 | 18:15 | 10 |
| უელსი | 7 | 2 | 1 | 4 | 8:11 | 7 |
| კვიპროსი | 7 | 2 | 1 | 4 | 10:16 | 7 |
| სან მარინო | 8 | 0 | 0 | 8 | 1:40 | 0 |

12 სექტემბერი

**ჩეხეთი — ირლანდია**
**სლოვაკეთი — უელსი**
**კვიპროსი — სან მარინო**

# ბილიჩის ფორმულა



ინგლისი — ისრაელი. 15-თვიანი შესვენების შემდეგ მაიკლ ოუენი ნაკრებს გოლით დაუბრუნდა

### E ჯგუფი

**ინგლისი 3:0 ისრაელი**

**1:0 შ. რაიტ-ფილიპსი (20), 2:0 ოუენი (49), 3:0 რიჩარდსი (66)**

**ინგლისი:** რობინსონი, რიჩარდსი, ფერდინანდი, ტერი, ეშლი კოული, შ. რაიტ-ფილიპსი (ბენტლი 83), ჯერარდი (ფ. ნევილი, 71), ბერი, ჯო კოული, ჰესკი (ჯონსონი 71), ოუენი

**მწვრთნელი:** სტივ მაკლარენი

**ისრაელი:** ავატე, შპუნგინი, ბენ ჰაიმი, გერშონი, ზივი, ბენაიუნი, ბადირი, ბენადო (გოლანი 57), ტალი, კატანი (ზანბერგი 73), იცხაკი (ტამუზი 46)

**მწვრთნელი** დრორ კაშტანი

**განახლებულ** „უემბლიზე" ინგლისმა პირველად მოიგო, მაიკლ ოუენმა კი საუცხოო გოლი გაიტანა. „კარგად ვითამაშეთ, კარგი შედეგია და ოთხშაბათსაც იგივე უნდა გავიმეოროთ — თქვა სტივ მაკლარენმა, რომელიც ზეგ გუუს ჰიდინკის რუსეთს შეხვდება — გულშემატკივრობაც დიდებული იყო და ასეთივე მხარდაჭერა რუსეთთანაც დაგვჭირდება".

შონ რაიტ-ფილიპსმა ეშლი კოულის პასით, მეკარის ბაქნიდან გაიტანა. ამ გოლზე ისრაელის ნაკრების მწვრთნელმა დრორ კაშტანმა ნამატჩევს განაცხადა, რომ რაიტ-ფილიპსი თამაშგარე მდგომარეობაში იყო.

მეორე ტაიმში სხვაობა მაიკლ ოუენმა გაზარდა. საჯარიმოს ხაზთან კარისკენ ზურგით მდგომმა ბურთი ჭვინტით აიგდო, მარცხნივ შებრუნდა და მარჯვენა ფეხით ცხრიანში შეაგდო

მარჯვენა მცველმა მაიკა რიჩარდსმა, რომელმაც შესანიშნავად ითამაშა, პირველი სანაკრებო გოლი მიითვალა. კუთხურიდან გარეტ ბერის ჩაწოდებულ ბურთი თავი შეაბრძანა სტუმართა კარში.

**ხორვატია 2:0 ესტონეთი**

**1:0, 2:0 ედუარდო და სილვა (39, 45)**

***დარიო სრნამ (ხორვატია) ვერ გაიტანა პენალტი (6)***

**დარიო სრნამ** მეექვსე წუთზე პენალტი ვერ გაიტანა — ბურთი ძელს მოხვდა, მაგრამ მისი შეცდომა ედუარდო და სილვამ ტაიმის მიწურულს ექვსწუთიან მონაკვეთში გამოასწორა. „არსენალის" ფორვარდმა ჯერ საჯარიმოს ხაზიდან შეაგდო ბურთი კარში, მერე კი ცაციით ცხრიანში შეაგდო.

„მართალია, რუსეთს ორი ქულით ვუსწრებთ, მაგრამ თავი ჯგუფიდან გასულებად არ უნდა დავიგულოთ — თქვა ხორვატთა მწვრთნელმა სლავენ ბილიჩმა — ჩვენ „ფორმულა 1-ის" პილოტივით ვართ, რომელიც მდევარს მხოლოდ წამებს უგებს და შეცდომის უფლება არ აქვს."

**რუსეთი 3:0 მაკედონია**

**1:0 ვ. ბერეზუცკი (6), 2:0 არშავინი (83), 3:0 კერჟაკოვი (86)**

***ი. მიტრესკიმ (მაკედონია) ვერ გაიტანა პენალტი (71)***

**რუსეთი:** გაბულოვი, ვ. ბერეზუცკი, ა. ბერეზუცკი, იგნაშევიჩი, ზირიანოვი, სემშოვი, ბილიალეტდინოვი, ბისტროვი (ანიუკოვი 87), არშავინი, სიჩევი (მალაფეევი 69), პავლიუჩენკო (კერჟაკოვი 67)

**გაძევება:** გაბულოვი (68)

**71-ე წუთზე,** როცა რუსთა მეკარემ ვლადიმირ გაბულოვმა გორან მაზნოვი წააქცია, წითელი ბარათი მიიღო და მის ნაცვლად კარში ვიაჩესლავ მალოფეევი ჩადგა, რომელმაც იგორ მიტრესკის პენალტი აუღო. ამით გახალისებულმა მასპინძლებმა მატჩის მიწურულს სამწუთიან მონაკვეთში მაკედონიელებს ორი გოლი გაუტანეს. ჯერ ანდრეი არშავინმა გაზარდა სხვაობა, მერე კი ალექსანდრ კერჟაკოვმა მეკარეს თავზე გადაუგდო ბურთი.

„მეორე ტაიმში კარგად ვითამაშეთ, მაგრამ არ გაგვიმართლა. ვერგატანილმა პენალტმა ჩემს გუნდს ხასიათი წაუხდინა და ამიტომაც გავუშვით ორი გოლი" — თქვა მაკედონიელთა მწვრთნელმა სრეჩკო კატანეცმა.

რუსთა პირველი გოლი კი მეექვსე წუთზე საჯარიმოს გათამაშების შემდეგ ვასილი ბერეზუცკიმ თავით გაიტანა.

„შედეგით კმაყოფილი ვარ, მაგრამ შესვენებამდე მეორე რომ ვერ გავიტანეთ, ამის გამო კინაღამ დავისაჯეთ" — განაცხადა გუუს ჰიდინკმა.

**ვაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ხორვატია | 8 | 6 | 2 | 0 | 18:4 | 20 |
| რუსეთი | 8 | 5 | 3 | 0 | 14:1 | 18 |
| ინგლისი | 8 | 5 | 2 | 1 | 15:2 | 17 |
| ისრაელი | 9 | 5 | 2 | 2 | 17:10 | 17 |
| მაკედონია | 8 | 2 | 1 | 5 | 6:10 | 7 |
| ესტონეთი | 9 | 1 | 0 | 8 | 2:17 | 3 |
| ანდორა | 8 | 0 | 0 | 8 | 2:30 | 0 |

12 სექტემბერი

**ანდორა — ხორვატია**
**მაკედონია — ესტონეთი**
**ინგლისი — რუსეთი**

# ევროპის 2008 წლის ჩემპიონატი. შესარჩევი ეტაპი

# ლატვიამ ნავსი ბეირდით გატეხა



შვედეთი — დანია. ბრძოლა იყო ვიკინგური

**F ჯგუფი**

**ისლანდია 1:1 ესპანეთი**

1:0 ჰალფრედსონი (40), 1:1 ინიესტა (86)
ესპანეთი: კასილიასი, ს. რამოსი, მარჩენა, ხუანიტო, პერნია (ალბელდა 26), ხოაკინი (ლუის გარსია 69), ხაბი ალონსო, ხავი, დავიდ სილვა, ფ. ტორესი (ინიესტა 57), ვილია
მწვრთნელი: ლუის არაგონესი
გაძევება: ხაბი ალონსო (19)

**ანდრეს ინიესტამ** სირცხვილისგან იხსნა ესპანეთი, რომელიც მე-19 წუთიდან კაცნაკლული დარჩა. „ათი კაცით გაგვიჭირდა, მაგრამ ბოლომდე ვიბრძოლეთ — თქვა სერხიო რამოსმა — ვფიქრობ, ქულაზე მეტს ვიმსახურებდით“. ალონსო არნარ ვიდარსონს ეუხეშა და ამიტომ გააძევეს. ღონიერ და მოჯაჯგურე ისლანდიელებთან ესპანელებმა ბურთის გაგორება თავის გემოზე ვერ შეძლეს. მე-40 წუთზე იოჰან გუდიონსონის ჩაწოდებულ ბურთს ემილ ჰალფრედსონმა ნახტომში დაჰკრა თავი და ანგარიში გახსნა. მანამდე სერხიო რამოსს, ფერნანდო ტორესს და დავიდ ვილიას ჰქონდათ ხელსაყრელი მომენტები. მეორე ტაიმში შეცვლაზე შესულმა ანდრეს ინიესტამ ლუის გარსიასგან პასი მიიღო და საჯარიმოს გარედან გაიტანა.

**შვედეთი 0:0 დანია**

**მოედანზე** მთვრალი ფანი არ შევარდნილა მსაჯის საცემად, ისე როგორც ამ გუნდების პირველ, კოპენჰაგენური მატჩისას მოხდა და არც გოლები გასულა მაშინდელივით. კოპენჰაგენში თამაში 3:3-ზე შეწყდა. შვედებს ხუთი-ექვსი მომენტი ჰქონდათ პირველ ტაიმში. მათგან ყველაზე რეალურები იოჰან ელმანდერმა, ზლატან იბრაჰიმოვიჩმა და კენედი ბაქირჩიოღლუმ ვერ გამოიყენეს. თავის მხრივ, დანიელთაგან დანიელ აგერს, მარტინ ლაურსენსა და იონ დალ ტომასონს შეეძლოთ გატანა. „მომენტების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, სამ ქულას ვიმსახურებდით — თქვა შვედთა თავკაცმა ლარს ლაგერბეკმა — სტუმართა მეკარემ სასწაულები ჩაიდინა. მიუხედავად ამისა, შედეგით კმაყოფილი ვარ, რადგან ჯგუფში პირველ ადგილს ვინარჩუნებთ.“

**ლატვია 1:0 ჩრდ. ირლანდია**

1:0 ბეირდი (56 ს.კ.)

**ლატვიელმა** და ჩრდილოირლანდიელმა ფანებმა რიგაში თამაშის წინ ჩხუბი მოასწრეს და პოლიციამ ექვსი კაცი დააპატიმრა. ზედიზედ შვიდი წაგების შემდეგ ლატვიამ ნავსი გატეხა და მოიგო, გამარჯვებაში კი სტუმართა მცველი დაეხმარა. მარჯვენიდან იმანტა ბლეიდელისის ჩაწოდებული ბურთი კრის ბეირდმა საკუთარ კარში ჩაჭრა. „ამ მარცხით ძალიან გავირთულეთ საქმე — თქვა ჩრდილოირლანდიელთა მწვრთნელმა ნაიჯელ უორტინგტონმა — მომდევნო მატჩში უკვე აუცილებლად სამი ქულა უნდა ავიღოთ.“

სტუმრებმა გასათანაბრებლად გაიწიეს, მაგრამ მეკარე ანდრის ვანინმა, რომელმაც მატჩის წინ დაშავებული ალექსანდრ კოლინკო შეცვალა, კარგად ითამაშა. 89-ე წუთზე მან ჯონათან ევანსს ახლოდან თავით დარტყმული აუღო.

**ვაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შვედეთი | 8 | 6 | 1 | 1 | 17:4 | 19 |
| ჩრ. ირლანდია | 8 | 5 | 1 | 2 | 13:9 | 16 |
| ესპანეთი | 8 | 5 | 1 | 2 | 14:7 | 16 |
| დანია | 7 | 3 | 2 | 2 | 9:5 | 11 |
| ლატვია | 7 | 2 | 0 | 5 | 5:7 | 6 |
| ისლანდია | 8 | 1 | 2 | 5 | 6:16 | 5 |
| ლიხტენშტაინი | 8 | 1 | 1 | 6 | 5:21 | 4 |

12 სექტემბერი

**ისლანდია — ჩრდ. ირლანდია**
**ესპანეთი — ლატვია**
**დანია — ლიხტენშტაინი**

# ბულგარეთს რეალმა მოუგო



ბელარუსი — რუმინეთი. სტუმარი ნიკოლაე დიკამ მასპინძელ ვლადიმირ კორიტკოს ჰაერში აჯობა

**G ჯგუფი**

**ჰოლანდია 2:0 ბულგარეთი**

1:0 სნეიდერი (23), 2:0 ვან ნისტელროი (58)
ჰოლანდია: ვან დერ სარი, მელხიოტი (ბულარუზი 65), ჰეიტინგა, მატიისენი, ბუმა, ვან ბრონკჰორსტი, ვან პერსი, დე ზეუვი (დე იონგი 81), სნეიდერი (ზეედორფი 73), ბაბელი, ვან ნისტელროი
მწვრთნელი: მარკო ვან ბასტენი

**მადრიდის** „რეალის“ ლეგიონერებმა უესლი სნეიდერმა და რუუდ ვან ნისტელროიმ თითო-თითო გაუტანეს ბულგარეთს და შესარჩევში პირველი წაგება გაუფორმეს. „ძალიან კმაყოფილი ვარ შედეგით და ხარისხიანი ფეხბურთით — თქვა მარკო ვან ბასტენმა — დაცვამაც საუცხოოდ ითამაშა და ნახევარდაცვაც შემოქმედებითი იყო“. მასპინძლებმა მატჩის დასაწყისში რამდენიმე მომენტი ვერ გამოიყენეს, მაგრამ უესლი სნეიდერმა 23-ე წუთზე საჯარიმო ბრწყინვალედ შეასრულა — 1:0. გოლამდე დიმიტარ ბერბატოვს შეეძლო გატანა, რომელიც უმცველოდ დარჩა კარის წინ, მაგრამ თავით არაზუსტად დაარტყა.

რუუდ ვან ნისტელროიმ მეორე ტაიმში სხვაობა გაზარდა. რაიან ბაბელისგან მიიღო პასი და დიმიტარ ნიკოლოვს მეორე გაუტანა. ამის მერელა შეუტია ბულგარეთმა და მარტინ პეტროვს დარტყმული ვილფრედ ბოუმამ კარის ხაზიდან გამოაძრო, შემდეგ კი ვან დერ სარმა ბერბატოვს აუღო. „მე უფრო მეტს ველოდი ჩვენი ფორვარდებისგან“ — დაიჩივლა სტუმართა მწვრთნელმა დიმიტარ პენევმა.

**ბელარუსი 1:3 რუმინეთი**

0:1 მუტუ (16), 1:1 რომაშჩენკო (20), 1:2 დიკა (42), 1:3 მუტუ (77 პ)

**ბერნდ შტანგეს** თავკაცობით ბელარუსმა პირველი ოფიციალური მატჩი წააგო. ადრიან მუტუ ორ მცველს გაექცა, მეკარესთან პირისპირ გავიდა და ანგარიში გახსნა. მაქსიმ რომაშჩენკომ, რომელმაც მუტუს გოლამდე რვა მეტრიდან ვერ გაიტანა, მეოცე წუთზე შეცდომა გამოასწორა. საჯარიმოში მარცხნიდან შესულმა ბურთი კარში შეაგდო. ტაიმის მიწურულს ბანე ნიკოლიცეს ჩაწოდებულს დიკამ დაჰკრა თავი და რუმინელები ისევ დააწინაურა. მეორე ნახევარში უპირატესობა სტუმრებისა იყო, ადრიან მუტუმ კი პენალტი მოინაგრა და თვითონვე შეასრულა. აღსანიშნავია, რომ რუმინეთმა ბუქარესტშიც ამავე ანგარიშით მოიგო.

**ლუქსემბურგი 0:3 სლოვენია**

0:1 ლავრიჩი (7), 0:2 ნოვაკოვიჩი (37), 0:3 ლავრიჩი (47)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რუმინეთი | 8 | 6 | 2 | 0 | 17:5 | 20 |
| ჰოლანდია | 7 | 5 | 2 | 0 | 10:2 | 17 |
| ბულგარეთი | 8 | 4 | 3 | 1 | 11:6 | 15 |
| ალბანეთი | 7 | 2 | 3 | 2 | 8:6 | 9 |
| სლოვენია | 8 | 2 | 1 | 5 | 8:12 | 7 |
| ბელარუსი | 8 | 2 | 1 | 5 | 11:18 | 7 |
| ლუქსემბურგი | 8 | 0 | 0 | 8 | 1:17 | 0 |

12 სექტემბერი

**სლოვენია — ბელარუსი**
**ბულგარეთი — ლუქსემბურგი**
**ალბანეთი — ჰოლანდია**

## მზვერავი ელბერი

მიუ[illegible]ფილი ფორვარდი ჯოვანი ელბერი კლუბის სკაუტად იმუშავებს და სამხრეთ ამერიკაში ნიჭიერ ფეხბურთელებს მოძებნის. „ახალი სამუშაო ვნახე — თქვა ელბერმა „ბილდთან“ — ული ჰოენესს და კარლ-ჰაინც რუმენიგეს შევხვდი, რომლებმაც დახმარება მთხოვეს. ძალიან გამიხარდა, რომ სატმე შემომთავაზეს და დავთანხმდი.“ ბრაზილიელმა თავდამსხმელმა „ბაიერნში“ ექვსი სეზონი (1997-2003) გაატარა და 190 მატჩში 108 გოლი გაიტანა. ელბერმა კარიერა შარშან დაასრულა.

## მოგკლავთ!

**„კატანიას“** ორი ფეხბურთელი ეჭვმიტანილია თამაშების ჩაწყობაში — წერს „ლა სიცილია“. გამოძიება დაინტერესდა „კატანია“ — „ასკოლის“ (3:3) და „კატანია — „სამპდორიას“ (1:0) მატჩებით. კატანიელთა ყოფილი მეკარე არმანდო პანტანელი და მცველი ჯანლუკა ფალსინი ბრალდებას უარყოფენ. „ამ ამბებთან საერთო არაფერი არ მაქვს და ვერაფერს ვერ ვიტვი“ — თქვა პანტალენიმ. „ხსენებულ ორ მატჩში არ მითამაშია“ — განაცხადა ჯანლუკა ფალსინიმ, რომელსაც ქომაგები სიკვდილით დაემუქრნენ და შეშინებულმა დახმარებისთვის პოლიციას მიმართა.

## სერბული ხიმკი

**მოსკოვის** „ლოკომოტივის“ ყოფილმა მწვრთნელმა სლავოლუბ მუსლინმა „ხიმკი“ ჩაიბარა. ამჟამად რუსეთის ჩემპიონატიშ შესვენებაა, „ხიმკი“ ავსტრიაშია შეკრებაზე და ფეხბურთელებს ახალი თავკაცი კლუბის შეფებმა იქ წარუდგინეს. 54 წლის სერბმა განაცხადა, რომ მოხარულია რუსეთში დაბრუნებით.

## კრაუჩის უარი

**„ლივერპულის“** მწვრთნელმა რაფაელ ბენიტესმა პიტერ კრაუჩის კონტრაქტის გახანგრძლივება შესთავაზა — წერს „სანდი მეილი.“ ახალი ხელშეკრულება სამწლიანია, მაგრამ ფეხბურთელმა განაცხადა, რომ 2008 წლის იანვრამდე მოლაპარაკების დაწყებას არ აპირებს.

## წუთიერი დუმილი

**ავსტრიის** ნაკრების ყოფილი მწვრთნელი ჰელმუტ სენეკოვიჩი, რომლის თავკაცობითაც მსოფლიოს 1978-ის ჩემპიონატზე გფრ 3:2 დაამარცხეს, 73 წლისა გარდაიცვალა. მას ეროვნულ გუნდში 18-ჯერ უთამაშია (1957-1968), 1976-ში კი ნაკრების თავკაცად დანიშნეს. შემდეგ იგი „აინტრახტში“, ესპანეთის, მექსიკისა და საბერძნეთის კლუბებში მუშაობდა. ზვალ ავსტრია-ჩილეს ამხანაგური მატჩის წინ ჰელმუტ სენეკოვიჩის წუთიერი დუმილით პატივს მიაგებენ.

**ვაჟა ხუციშვილი**

# გასახდელს რიტმ ენდ ბლუზი უხდება



**ქვემოთ ძალიან საინტერესო წერილს გთავაზობთ. უფრო სწორად, ეს გახლავთ BBC-ს ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული „ავტობიოგრაფიული სვეტი“, რომლის ავტორიც... „მანჩესტერ სიტისა“ და ინგლისის ნაკრების ამომავალი ვარსკვლავი, შაბათს ისრაელის ნაკრების კარში თავისი პირველი გოლის გამტანი თინეიჯერი მაიკა რიჩარდსი გახლავთ. საკუთარ თავთან და მკითხველთან უფრო მართალნი რომ ვიყოთ, ვიტყვით, რომ რიჩარდსის მონაყოლი ჟურნალისტმა კრის ბივანმა ჩაიწერა, მაგრამ ამას მნიშვნელობა არ აქვს, რადგან აქ მთავარი სულ სხვა რამ არის. თუმცა, ყველაფერს თავი რომ დავანებოთ და იმას, რაც თქვენს სამსჯავროზე გამოგვაქვს ფილოსოფიურად სულაც რომ არ შევხედოთ, საფეხბურთო სცენაზე ბოლო დროს მძლავრი აკორდით შემოჭრილი რიჩარდსის ბიოგრაფიას მაინც გავეცნობით და ეს გულშემატკივრისთვის უთუოდ საინტერესო იქნება. ცნობისათვის: მაიკა რიჩარდსი BBC-ს ვებგვერდზე ამ ერთი წერილით შემოფარგვლას არ აპირებს, თუმცა ჩვენ ჯერ ერთი ვიკმაროთ, დანარჩენს კი დავაკვირდეთ და თუ მივიჩნევთ, რომ ქართველი მკითხველისთვის საინტერესო იქნება, ისინიც ვთარგმნოთ**

„საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ ჩემთვის როგორც „მანჩესტერ სიტის“, ასევე ინგლისის ნაკრების შემადგენლობაში საუცხოო სეზონი დაიწყო, რაც ჩემი ცხოვრებისა შესახებ საუბრისკენ მიბიძგებს. იმედი მაქვს, ეს მონაყოლი დაგაინტერესებთ. შევეცდები ამომწურავად გესაუბროთ ჩემი კარიერისა და პირადი ცხოვრების შესახებ, რათა თქვენი ინტერესი რაც შეიძლება მეტად დავაკმაყოფილო.

დაწყება პატარაობით სჯობს: ბირმინგემში დავიბადე, ლიდსში კი გავიზარდე და მართალია „ლიდს იუნაიტედს“ ვქომაგობდი, იან რაიტის ხათრით „არსენალიც“ ძალიან მიყვარდა. იან რაიტი დიდი ფეხბურთელი იყო. გოლს რომ გაიტანდა, ისე ზეიმობდა, რომ ყოველთვის მეცინებოდა.

ფეხბურთს ადრეული ასაკიდან ვთამაშობ, თუმცა სკოლაში რაგბიც მეხერხებოდა. ვთამაშობდი როგორც ჩვეულებრივ, თხუთმეტკაცა, ასევე ლიგის, ცამეტკაცა რაგბის. ვინაიდან, მეტისმეტად სწრაფი ვიყავი, ფრთაზე მაყენებდნენ და მეც უამრავი ლელო გამქონდა, რაც ძალიან მახარებდა.

პატარაობაში, 100 და 200 მეტრიან დისტანციებსაც ჩინებულად გავრბოდი. ზუსტად ნამდვილად არ მახსოვს, მაგრამ ჩემი საუკეთესო დრო 11 წამი თუ რაღაც ამდაგვარი იყო. ერთი სიტყვით, სპორტის ყველა სახეობა მიყვარდა და მეხერხებოდა, მაგრამ ფეხბურთი ჩემს გულში ყოველთვის გამორჩეულ ადგილს იკავებდა. სიმართლე ბოლომდე რომ ვთქვა, გულთან მისებრ ახლოს სხვა სახეობა არც კი მიმქონდა.

„სიტიში“ ვარჯიშის გამო სკოლას თავი ადრევე დავანებე. 15 წლისა მანჩესტერში კვირაში სამჯერ ჩამოვდიოდი, 16 წლისას კი მითხრეს, რომ ასე გაგრძელება არ შეიძლებოდა და სკოლიდან გამომიშვეს. ფეხბურთმა, სწორედ მაშინ, მთლიანად დაიპყრო ჩემი ცხოვრება, მაგრამ მინდა გითხრათ, რომ სკოლის დატოვება მაინც და მაინც არ გამხარებია. საკმაოდ კარგი მოსწავლე ვიყავი და სწავლის შეწყვეტამ გული დამწყვიტა. ჩემთვის დღემდე ვმეცადინეობ მათემატიკაში, ინგლისურსა და კიდევ რაღაც-რაღაც საგნებში, თუმცა, სკოლაში, როგორც გითხარით, ამ ყველაფრის შეჩერება მოიხდა.

ჩემს კარიერას მიმართულება იმთავითვე მამაჩემმა ლინკოლნმა მისცა. როგორც კი პირველი ნაბიჯები გადავდგი, ყურადღება დაძაბა, ყველაფერი კარგად რომ წამსვლოდა. საქმე ის გახლავთ, რომ მე ჩენელთაუნიდან ვარ, ეს კი ლიდსის უბანთა შორის საუკეთესო ნამდვილად არ არის. ამ უბანში თინეიჯერის უხიფათოდ აღზრდა ძნელია, თუმცა მამაჩემმა, როგორც გითხარით, სწორი გეზი მომცა და მირჩია ოცნებათა ასრულებისკენ ჯიქურ მევლო. ვფიქრობ, დღეს სწორედ ამ გზაზე ვდგავარ.

ერთი სიტყვით, მამა მუდამ გვერდით მედგა და თუ შეატყობდა, რომ ჩემს ცხოვრებაში რაღაც სწორად არ მიდიოდა, მეუბნებოდა. სხვათაშორის, მან ჩემი თამაშებიდან ერთადერთი გამოსტოვა, ჩემი პირველი მატჩი „მანჩესტერ სიტის“ შემადგენლობაში „არსენალის“ წინაამდეგ. ეს იყო 2005 წელს.

დიახ, დიახ, მან მაინც და მაინც ჩემთვის უმნიშვნელოვანესი, სადებიუტო შეხვედრა გამოსტოვა, მაგრამ არაფერში ვადანაშაულებ, რადგან ჯერ ერთი, მე იმხანად გუნდთან ერთად ავტობუსში არც კი მსვამდნენ და, ბუნებრივია, ჩემი დებიუტი ძალიან ძნელი წარმოსადგენი იყო. მეორეც, მამა, სწორედ იმ დღეებში, ეთიოპიაში გახლდათ, უსახლკარო ბავშვებისთვის საფეხბურთო სკოლის გახსნაში მონაწილეობდა. ის, ყოველ წელიწადს დადის ასეთ საქმეებზე და მეც ვცდილობ მაქსიმალურად დავეხმარო. ეთიოპიაში თავად არ ვყოფილვარ, მაგრამ ერთხელაც დროს ვიხელთებ და აუცილებლად ჩავალ.

## მეგობრები

ფეხბურთის სკოლაში შეძენილი მეგობრებიდან უმეტესობა სპორტს ჩამოშორდა, თუმცა, რამდენიმე ჯერ კიდევ თამაშობს. იცით, ის ბიჭები, ფეხბურთზე წლების წინ ჩემთან ერთად რომ დადიოდნენ, ჩემზე ცუდად სულაც არ თამაშობდნენ, უბრალოდ მათ საქმისადმი ჰქონდათ არასწორი მიდგომა — მათ გონებაში ფეხბურთი გარდა სხვა რაღაცებიც ტრიალებდა.

მათგან, ერთ-ერთი, ვინც ფეხბურთს შემორჩა, დღეს „მიდლსბროშია“. ეს გახლავთ სებ ჰაინესი. სებმა, იქ აკადემია და რეზერვი გაიარა, მაგრამ შარშანდელი სეზონის ნახევარი ტრავმის გამო გაუცდა. ტრავმა რომ მოიშუშა, ფეხბურთის ასოციაციის თასზე „ჰალს“ საუცხოო გოლი გაუტანა.

აქ, „სიტიშიც“ შემორჩნენ ბიჭები, რომელთაც აკადემიაში ჩემთან ერთად გაიარეს გზა. ძალიან მიხარია, რომ კიდევ ერთად ვთამაშობთ, თან ასეთ მაღალ დონეზე და იმედი მაქვს, რომ ჩვენი ეს ერთობა დიდხანს გაგრძელდება.

ერთ-ერთი, იშმაელ მილერი ჩემი უახლოესი მეგობარია. მე და იში დღე და ღამ ერთად ვართ. მართალია ის „ვესტ ბრომვიჩში“ გააქირავეს, მაგრამ მაინც ვახერხებთ ერთმანეთის ნახვას. უქმეებზე მასთან მივდივარ ხოლმე სტუმრად.

ფეხბურთს მიღმა ჩემი ცხოვრება სხვანაირია. ზოგიერთი ასაკოვანი ფეხბურთელივით გოლფს არ ვთამაშობ, სამაგიეროდ ძალიან მიყვარს კარტინგი და პეინტბოლი. ამ საქმეს „სიტის“ ბიჭებთან ერთად მივსდევ.

კაცმა რომ თქვას, ჩვენ, „სიტის“ ბიჭები ვცდილობთ რაც შეიძლება ხშირად ვიყოთ ერთად. ჩვენ ყველანი ვთამაშობთ „პლეისთეიშენს“ და მუსიკასაც დიდი ადგილი უკავია ჩვენს ცხოვრებაში. ნედ ონუოჰა ჩვენი „დი ჯეია“, თუმცა მუსიკას მაინც მე ვაკონტროლებ და მა ვწყვეტ რა ვარგა და რა არა.

რაც ჩვენგან ჯო ბარტონი წავიდა, გასახდელში მოსასმენ მუსიკასაც მე ვარჩევ. ის „ინდის“ აწვებოდა, (ინდი — ძირითადი კომერციული მიმდინარეობებსგან განსხვავებული ჟანრი, იგივეა რაც ალტერნატიული როკი) მე კი მგონია, რომ გასახდელში „რიტმ ენდ ბლუზია“ საჭირო. გასახდელში „ინდი“ არ გქონდა, თამაშის წინ კი ადამიანს უფრო ამყვანი რამ გჭირდება. ხომ ხედავთ, რა კარგად ვთამაშობთ ამ სეზონში...

ერთი სიტყვით, მუსიკალურ საკითხებს თუ არ ჩავთვლით, ჯოს „ნიუკასლში“ გადასვლა ძალიან მეწყინა. მან, გასულ სეზონში ჩვენი კლუბისთვის ბევრი რამ გააკეთა. ნახევარმცველთა შორის ყველაზე მეტი გოლი სწორედ მან შეაგდო და უამრავი საგოლე პასიც მიითვალა. მასზე, როგორც ფეხბურთელზე ცუდს ვერავინ იტყვის, აი, მოედანს გარეთ კი აშკარად ჰქონდა პრობლემები. ისე, პრესამაც ტყუილად ატეხა ერთი ამბავი, თორემ თუ დაჯდები და დაელაპარაკები ის მშვენიერი ადამიანია.

ცუდი იყო, სილვან დისტენი „პორტსმუთში“ რომ წავიდა. მან და რიჩარდ დანიმ „სიტის“ ძირითადში დიდი დახმარება გამიწიეს. ისინი დაცვაში ხუთი წლის განმავლობაში თამაშობდნენ ერთად და საუცხოოდ ესმოდათ ერთმანეთის. ისინი სულ მასწავლიდნენ რა და როგორ უნდა მეკეთებინა. ეს ორი კაცი ჩვენს გუნდში წყვილად რომ დარჩენილიყო, ჩემთვის უკეთესი იქნებოდა, მეტს ვისწავლიდი.

## მიმდინარე სეზონი

ბოლო ორი თამაშის წაგება ცუდი იყო, მაგრამ არა მგონია ამ ფაქტმა ჩვენს მშვენიერ სტარტს ჩრდილი მოჰფინოს. საკუთარი თავისა და ძალების დიდი რწმენა შეგვმატა „მანჩესტერ იუნაიტედთან“ დერბიში გამარჯვებამ. კიდევ, საუცხოო შეგრძნება დამეუფლა, როდესაც „ბლექბერნთან“ შეხვედრაში მატჩის საუკეთესო ფეხბურთელად დამასახელეს.

არ მინდა გავამართლო ან შევალამაზო „ბლექბერნთან“ წაგება — ჩემმა თანაგუნდელებმა ვერ ითამაშეს ისე, როგორც შეუძლიათ და წაგებაც თავიდან ბოლომდე ჩვენი ბრალია, მაგრამ, ჯერ ერთი ყოველ ცისმარე დღეს გამარჯვებას არც ველით და მეორეც, ვიმედოვნებთ, რომ შემდეგ ტურში „ასტონ ვილას“ მოვუგებთ და კვლავ გამარჯვების გზაზე დავდგებით. ბოლოს და ბოლოს, ახალ გუნდს ვქმნით და ნელ-ნელა ყოველმხრივ ვიხვეწებით — თუნდაც ის რად ღირს, რომ ბევრი ახალი ფეხბურთელი უკვე ლაპარაკობს ინგლისურად“.

**ბაჩუნა ქექდია**



# ლიპი და ყიყლიყო?

**მარჩელო ლიპი** „ტოტენჰემ ჰოთსპურის“ შესაძლო მწვრთნელთა რიცხვს მიაკუთვნეს...

საქმე ის გახლავთ, რომ თუ „სფურზი“ შაბათს „არსენალთან“ ჩრდილოლონდონურ დერბის წააგებს, ჰოლანდიელ მარტინ იოლს გუნდის სათავეში დარჩენა მეტისმეტად გაუჭირდება, ხოლო მსოფლიოს ჩემპიონი იტალიელი თურმე ნუ იტყვით და „მამლების“ სასურველ კანდიდატთა შორტლისტში მოწინავე ადგილზე ყოფილა. შეგახსენებთ, რომ ლონდონელებმა იოლის შემცვლელობა უკვე სთხოვეს „სევილიას“ თავკაცს ხუანდე რამოსს, რომელმაც უარი შეუთვალა. მის გარდა „ტეტენჰემის“ შეფებს ფაბიო კაპელოს ან ზემოხსენებული ლიპის შეძენის იმედი ჰქონიათ.

და რას ფიქრობს ამაზე თავად ლიპი? როგორც ირკვევა, მან „მამალთა“ უფროსებს აგრძნობინა, რომ სიამოვნებით იმუშავებს პრემიერლიგაში. დიდმა „მაესტრომ“ 2006 წლის მსოფლიოს ტრიუმფალური ჩემპიონატის შემდეგ უკვე ერთ წელიწადზე მეტი დაისვენა და როგორც ამბობენ, ახალი თავგადასვლებისთვის მზად არის.

როგორც ხედავთ, „ტოტენჰემის“ შეფები საუკეთესოთა შორის საუკეთესებს ეძებენ, ჩამოთვლილი სამი მწვრთნელი კი სწორედ ასეთია.

„მსოფლიოს ჩემპიონობის შემდეგ ახალი გამოწვევა მჭირდება — უთხრა ერთი ხნის წინ ლიპიმ ჟურნალისტებს — იმის გათვალისწინებით, რომ იტალიის ჩემპიონატსა და ნაკრებში წარმატებებს მივაღწიე, სიამოვნებით მოვსინჯავდი ძალებს ინგლისში. არის ხალხი, რომელიც ფიქრობს, რომ მე ინგლისში ვერ გადავალ, რადგან ინგლისური არ ვიცი, მაგრამ ეს მართალი არ არის. ჯერ ერთი ინგლისურად საკმაოდ ნორმალურად ვლაპარაკობ და მეორეც, შარშან მთელი წელიწადი ამ ენის გაუმჯობესებას შევალიე“.

**ბაჩუნა ქედია**

# ნაკიჭარი გოგო ანრის





**ტიერი ანრი** ცოლს სულ ახლახან გაშორდა, მაგრამ ელეგანტური ფრანგი უქალოდ ცხოვრებას ნამდვილად არ აპირებს. PEOPLE-მ დაადგინა, რომ ანრი ალექსანდრა პარესანტს გაუმიჯნურდა და ეშხიან გოგოსთან დროს მშვენივრად ატარებს.

ალექსანდრა მოდელი გახლავთ და თავის დროზე მეორე ბარსელონელის, ბრაზილიელი რონალდინიოს შეყვარებული იყო.

PEOPLE-ს რეპორტიორმა ალექსანდრა და ანრი ივლისში, ნბა-ს ფრანგი კალათბურთელის, ტონი პარკერის ქორწილში ერთმანეთთან მტრედებივით მოღუღუნენი დააფიქსირა. შეგახსენებთ, რომ ფეხბურთელის ყოფილი მეუღლე ასევე მოდელი, ნიკოლ მერი გახლავთ.

**ლადო ხომერიკი**

# იუვემ სარაგოსა აჯეიმა

**ესპანურმა** „სარაგოსამ" 7 სექტემბერს საკუთარ „ლა რომარედაზე" დაარსების 75-ე წლისთავი იზეიმა. დაახლოებით ერთსაათიანი შოუს შემდეგ ვიქტორ ფერნანდესის შეგირდები ამხანაგურად გაეჯიბრნენ ტურინის „იუვენტუსს" და 2:1 იმარჯვეს.

ცხადია, „სარაგოსა" უფრო მოტივირებული იყო და შეხვედრაც მეტოქეზე უკეთ ჩაატარა. სამივე გოლი პირველ ტაიმში გავიდა. ესპანური კლუბის მთავარმეგოლემ დიეგო მილიტომ ჯერ პაბლო აიმარის პასით იხეირა, მერე კი სერხიო გარსიას დაუფასა გარჯა. შუალედში ვინჩენცო იაკინტამ გამოიჩინა თავი.



„სარაგოსამ" დაარსების 75-ე წლისთავი იზეიმა

„ბებერი ქალბატონი" „სარაგოსას" ფაქტობრივად სარეზერვო შემადგენლობით ეწვია. კლაუდიო რანიერიმ ახალგაზრდული გუნდის ბევრ მოთამაშეს მისცა თავის გამოჩენის შანსი. თუმც ამ ხუმრობა-ხუმრობაში „იუვეს" სამი მნიშვნელოვანი მოთამაშე დაუშავდა — რაფაელე პალადინო, ანტონიო ნოჩერინო და ჟან-ალან ბუმსონგი. სწორედ ამაზე დაიწუწუნა მატჩის შემდეგ ტურინელთა მწვრთნელმა: „ძალიან რთული თამაში იყო. როგორც რამდენჯერმე ვთქვი, ამ შედეგს ჩვენთვის დიდი მნიშვნელობა არ ჰქონდა. მინდოდა, თამაშის საშუალება ყველასთვის მიმეცა და გარკვეულწილად ეს შევძელი კიდეც. სამწუხაროდ, ყველაფერი ზუსტად ისე არ გამოგვივიდა, როგორც ჩავიფიქრეთ, რადგან „სარაგოსამ" ძალიან აგრესიულად ითამაშა და იძულებული გავხდი, ცვლილებები დაგეგმილზე ადრე განმეხორციელებინა. იმედია, პალადინოს, ნოჩერინოსა და ბუმსონგის ტრავმები სერიოზული არ აღმოჩნდება".

„იუვენტუსის" ექიმების თქმით, საგანგაშო არაფერია, მაგრამ შესაძლებელია, ბუმსონგსა და ნოჩერინოს რამდენიმე დღე გაუცდეთ, პალადინო კი მომავალი უქმეებისთვის ნამდვილად მწყობრში იქნებაო.

**გიორგი ქაქაბაძე**

## ინგლისი

### I ლიგა. V ტური

ბრაიტონი — მილუოლი 3:0; ნორთჰემპტონი — დონკასტერი 2:0; ლუტონი — როვერსი 1:2; საუთენდი — ჯილინგემი 3:0; უოლსოლი — პორტ ვეილი 0:0; კარლაილი — ტრანმერი 0:1; ქრიუ — ჰადერსფილდი 2:0; ლიდსი — ჰარტლპული 2:0; ლეიტონი — ბორნმუთი 1:0; სუინდონი — იოვილი 0:1

### II ლიგა. V ტური

ჩესტერფილდი — ბერი 3:1; ჩესტერი — მორიკემბი 0:1; ლინკოლნი — ბრედფორდი 1:2; მილტონი — ნოტსი 3:0; დაგენემი — ბარნეტი 1:1; როტერემი — დარლინგტონი 0:2; აკრინგტონი — გრიმსბი 4:1; ჰერეფორდი — მაკლსფილდი 0:1; სტოკპორტი — შრიუსბერი 1:1; უიკომბი — ბრენტფორდი 1:0; პიტერბრო — მენსფილდი 2:1. რომფილი — რექსემი გადაიდო

### კონფერენსლიგა. VIII ტური

ალდერშოტი — ნორსვიჩი 5:0; ალტრინჩემი — ოქსფორდი 1:3; ქროული — დროილდენი 5:0; ექსეტერი — კემბრიჯი 1:1; გრეისი — ფორესტ გრინი 0:1; შისტონი — ფორსლი 1:2; კიდერმინსტერი — იორკი 3:0; სალისბერი — რაშდენი 1:1; ვეიმუთი — გრეივსენდი 2:0; ბარტონი — ტორკი და სტივენეიჯი — სტეფორდი დღეს გაიმართება

## გერმანია

### ჩრდილოეთ რეგიონალლიგა VIII ტური

ალენი — დინამო (დრ) 1:2; დორტმუნდი (მ) — ჰამბურგი (მ) 3:1; ბრაუნშვაიგი — ვუპერტალი 1:4; ფორტუნა — ვერლი 3:0; ემდენი — კოტბუსი (მ) 1:0; ობერჰაუზენი — მაგდებურგი 2:1; ბაბელსბერგი — ესენი 1:3; ერფურტი — უნიონი 2:0; ვოლფსბურგი (მ) — ვერდერი (მ) 1:0

### სამხრეთ რეგიონალლიგა VII ტური

ზიგენი — რეგენსბურგი 1:3; ბაიერნი (მ) — ინგოლშტადტი 1:1; ბურგჰაუზენი — მიუნხენი (მ) 0:0; ოგერშეიმი — ფრანკფურტი 1:3; ჰესენი — ელვერსბერგი 3:0; კარლსრუე (მ) — კიკერსი 0:0; სანდჰაუზენი — უნტერჰაჰინგი 1:0; შტუტგარტი (მ) — პფულენდორფი 2:0; აალენი — როიტლინგენი 5:1

## დანია

### I დივიზიონი. VI ტური

ფრემი — აკადემისკი 2:1; სკივე — სილკებორგი 1:1; ვეილე — ორჰუსი 2:1; ნესტვედი — ჰვიდოვრე 1:0; კოგე — იოლსტიკე 2:1; ნიკიობინგი — ჰიკ 3:0; ფრედერისია — ჰერფიოლგე 1:1

## ნორვეგია

### I დივიზიონი. XXII ტური

ბრინი — ჰამკამი 3:0; ტრომსდალენი — ბოდიო 0:0; ლოფამი — ჰიონეფოსი 3:1; მოსი — ნოტოდენი 3:1; რაუფოსი — მანდალი 1:4; ჰაუგესუნდი — კონგსვინგერი 2:2; მოლდე — სკეიდი 0:0; სოგნდალი — სპარტა 1:1

## შვედეთი

### სუპერეტა. XXIII ტური

ჰალკენბერგი — ნორჩიოპინგი 1:2; მიალბი — ლიუნგსკილე 0:2; იოსტერსი — სირიუსი 1:2. ენჩიოპინგი — დეგერფორსი და სილვია — იოკოპინგი დღეს გაიმართება

## აშშ

### მეიჯორლიგა. XXIII ტური

კოლუმბუსი — ჩიკაგო 0:1; დალასი — ტორონტო 2:0; ჰიუსტონი — სოლტ ლეიკი 4:3; ლოს ანჯელესი — კოლორადო 3:1; ვაშინგტონი — *ნიუ ინგლენდი და ჩივასი — ნიუ იორკი გვიან დამთავრდა*

## მსოფლიოს 2007 წლის U-17 ჩემპიონატი

### მატჩი მესამე ადგილისთვის

*გერმანია 2:1 განა*

### ფინალი

*ნიგერია 0:0 (3:0პენ.) ესპანეთი*

## იტალია

### სერია B. III ტური

ალბინოლეფე — გროსეტო 2:1; ასკოლი — ჩეზენა 0:0; ბარი — ვიჩენცა 2:0; ბოლონია — რავენა 2:1; ჩეზენა — პიზა 1:2; ფროზინონე — აველინო 2:1; მანტოვა — მესინა 4:0; მოდენა — სპეცია 2:0; ტრევიზო — კიევო 0:1; ტრიესტინა — ლეჩე 1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მოდენა | 3 | 3 | 0 | 0 | 7:1 | 9 |
| მანტოვა | 3 | 2 | 1 | 0 | 6:1 | 7 |
| კიევო | 3 | 2 | 1 | 0 | 5:1 | 7 |
| ბოლონია | 3 | 2 | 1 | 0 | 4:1 | 7 |
| ალბინოლეფე | 3 | 2 | 1 | 0 | 6:4 | 7 |
| ლეჩე | 3 | 2 | 1 | 0 | 4:2 | 7 |
| ბრეშა | 2 | 2 | 0 | 0 | 3:0 | 6 |
| პიზა | 3 | 2 | 0 | 1 | 4:3 | 6 |
| ფროზინონე | 3 | 2 | 0 | 1 | 4:3 | 6 |
| რიმინი | 3 | 1 | 2 | 0 | 2:1 | 5 |
| ასკოლი | 3 | 1 | 1 | 1 | 5:3 | 4 |
| რავენა | 3 | 1 | 1 | 1 | 4:4 | 4 |
| მესინა | 3 | 1 | 1 | 1 | 2:5 | 4 |
| ბარი | 3 | 1 | 0 | 2 | 4:4 | 3 |
| ტრევიზო | 3 | 1 | 0 | 2 | 1:2 | 3 |
| ტრიესტინა | 3 | 0 | 2 | 1 | 2:5 | 2 |
| ჩეზენა | 3 | 0 | 1 | 2 | 2:4 | 1 |
| ვიჩენცა | 3 | 0 | 1 | 2 | 1:5 | 1 |
| აველინო | 3 | 0 | 0 | 3 | 1:4 | 0 |
| პიაჩენცა | 2 | 0 | 0 | 2 | 2:6 | 0 |
| სპეცია | 3 | 0 | 0 | 3 | 2:7 | 0 |
| გროსეტო | 3 | 0 | 0 | 3 | 1:6 | 0 |

### სერია C1/A. III ტური

კავეზე — კრემონეზე 1:1; ფოჯა — ლეკო 2:1; ფოლინო — ნოვარა 1:2; პადოვა — ლენიანო 1:1; პაგანეზე — მანფრედონია 1:1; პროპატრია — სასუოლო 1:2; ტერნანა — მონცა 0:0; ვენეცია — ჩიტადელა 1:1; ვერონა — პრო სესტო 1:1

### სერია C1/B. III ტური

ანკონა — ლუკეზე 2:0; გალიპოლი — სორენტო 3:2; მარტინა — იუვე სტაბია 2:2; პერუჯა — კროტონე 2:1; პისტოიეზე — ტარანტო 0:0; პოტენცა — მასეზე 2:0; სალერნიტანა — არეცო 4:2; სამბენედეტეზე — ლანჩანო 1:1; სანჯოვანეზე — პესკარა 1:1

## ესპანეთი

### სეგუნდადივიზიონი III ტური

სელტა — ეიბარი 0:1; ხიმნასტიკი — კასტელიონი 1:0; გრანადა — ტენერიფე 4:1; მალაგა — კორდობა 4:1; სოსიედადი — პოლი ეხიდო 0:1; ფეროლი — ლას პალმასი 3:1; სპორტინგი — ელჩე 1:1; ნუმანსია — ხერესი 2:1; ერკულესი — ალბასეტე 2:0; კადისი — სალამანკა 1:0; სევილია B — ალავესი 1:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მალაგა | 3 | 3 | 0 | 0 | 8:1 | 9 |
| ფეროლი | 3 | 2 | 1 | 0 | 7:3 | 7 |
| ნუმანსია | 3 | 2 | 1 | 0 | 6:2 | 7 |
| ერკულესი | 3 | 2 | 1 | 0 | 7:4 | 7 |
| ხიმნასტიკი | 3 | 2 | 1 | 0 | 5:2 | 7 |
| სევილია ი | 3 | 2 | 1 | 0 | 3:1 | 7 |
| კასტელიონი | 3 | 2 | 0 | 1 | 4:2 | 6 |
| კადისი | 3 | 2 | 0 | 1 | 3:2 | 6 |
| სპორტინგი | 3 | 1 | 2 | 0 | 7:3 | 5 |
| ელჩე | 3 | 1 | 2 | 0 | 3:2 | 5 |
| ეიბარი | 3 | 1 | 1 | 1 | 2:2 | 4 |
| ტენერიფე | 3 | 1 | 1 | 1 | 4:5 | 4 |
| გრანადა | 3 | 1 | 0 | 2 | 6:6 | 3 |
| სოსიედადი | 3 | 1 | 0 | 2 | 1:3 | 3 |
| პოლი ეხიდო | 3 | 1 | 0 | 2 | 2:7 | 3 |
| ხერესი | 3 | 0 | 2 | 1 | 4:5 | 2 |
| კორდობა | 3 | 0 | 2 | 1 | 4:7 | 2 |
| სელტა | 3 | 0 | 1 | 2 | 2:4 | 1 |
| ალბასეტე | 3 | 0 | 1 | 2 | 1:4 | 1 |
| ლას პალმასი | 3 | 0 | 1 | 2 | 3:8 | 1 |
| ალავესი | 3 | 0 | 0 | 3 | 0:4 | 0 |
| სალამანკა | 3 | 0 | 0 | 3 | 0:5 | 0 |

## ამხანაგური მატჩები

8 სექტემბერი

ყაზახეთი 1:1 ტაჯიკეთი
განა 2:0 მაროკო
კვიპროსი 3:1 სომხეთი
ოსასუნა 3:3 ტულუზი

9 სექტემბერი

ეკვადორი 5:1 სალვადორი
ვენესუელა 3:2 პარაგვაი
პერუ 2:2 კოლუმბია
აშშ 2:4 ბრაზილია
მექსიკა — პანამა *ჩაიშალა*



# სად მამა მეგულვის...

„ატლეტიკო“ სამომავალსეზონოდ ახალ გოლკიპერს ეძებს. „ვისენტე კალდერონზე“ მოთამაშე გუნდის რჩეული ესპანეთის ნაკრების წევრი პეპე რეინაა. „ატლეტიკოს“ უფროსობამ სწორედ ლივერპულელთან თანამშრომლობა გადაწყვიტა და, თავის მხრივ, პეპესაც სურს სამშობლოში დაბრუნება, ოღონდ, ცხადია, თამაშს ძლიერ, ჩემპიონთა ლიგის მონაწილე გუნდში აპირებს. მადრიდული გაზეთების ინფორმაციით, „ატლეტიკოს“ წარმომადგენლები რეინას აგენტ მანუელ გარსია კილონთან აწარმოებენ მოლაპარაკებას.

„თეთრ-ალისფერთა“ თავკაცობას „ატლეტიკოს“ ამჟამინდელ გოლკიპერ ლეო ფრანკოსთან დაკავშირებული სიტუაცია აშფოთებთ. მას შემდეგ, რაც არგენტინელმა გასულ სეზონში ტრავმა მიიღო, სათანადო დონე ველარ დაიბრუნა და „ათლეტებსაც“ 2004-ში „მალიორკადან“ ნაყიდი ყოჩაღი მეკარისგან ჯანგატეხილი კაცილა შერჩათ ხელთ.. პატაგონიელ გოლკიპერს კონტრაქტით მადრიდულ კლუბთან თანამშრომლობა კიდევ ერთი წლით უწევს. თავიდან „ათლეტები“ დეკემბერში ფრანკოსთან ხელშეკრულების გახანგრძლივებას აპირებდნენ, თუმცა ახლა საქმეს ისეთი პირი უჩანს, მასთან გამომშვიდობება გადაუწყვეტიათ.

იტალიელი აბიატი კი „კალდერონზე“ იჯარით, ისიც მხოლოდ ერთი სეზონით მივიდა, რაც იმას ნიშნავს, რომ „ატლეტიკომ“ ახალი მეკარე დროულად უნდა შეარჩიოს. მადრიდში იციან, რომ ინგლისში რეინას სიჩაუქით ყველა კმაყოფილია. „ლივერპულმა“ თავის დროზე რეინაში „ვილიარეალს“ მეკარისთვის გვარიანად დიდი თანხა, 8,7 მილიონი ევრო გადაუხადა და „წითლების“ მწვრთნელი რაფა ბენიტესიც პეპეს ოსტატობას ერთობ აფასებს.

„ლივერპულის“ გოლკიპერმა მერსისაიდულ გუნდთან ახალ კონტრაქტს ხელი ივნისში მოაწერა. ამ ხელშეკრულებით რეინას ალბიონზე 2012 წლამდე უწევს დარჩენა. მეკარემ კონტრაქტის გახანგრძლივების შემდეგ განაცხადა, რომ „ენფილდზე“ თავს შესანიშნავად გრძნობს, მაგრამ ადრე თუ გვიან ესპანურ პრიმერაში დაბრუნებასაც არ გამორიცხავს. პეპე რეინას თანამემამულეები და ძველი პარტნიორები — ლუის გარსია, მორიენტესი, ნუნიესი და ხოსემი — უკვე დაბრუნდნენ ალბიონიდან სამშობლოში.

აღსანიშნავია, რომ გასული საუკუნის სამოცდაათიან წლებში მთელი 7 სეზონის განმავლობაში მადრიდის „ატლეტიკოს“ კარს პეპეს მამა, მიგელ რეინა იცავდა. მიგელმა „თეთრალისფერებთან“ ერთად ესპანეთის ჩემპიონობა, კოპა დელ რეი და საკონტინენტთაშორისო თასი მოიგო.

**ლადო ხომერიკი**

# ზამთარში!

## რომიმ ტაქსინი უნდა გააჩეროს

**ხუან რომან რიკელმე** „ვილიარეალს“ ნელ-ნელა შორდება. „ყვითლების“ მწვრთნელმა მანუელ პელეგრინიმ პარასკევს გამოაცხადა, რომ რომი მის გეგმებში აღარ შედის, თუმცა არგენტინელს „ელ მადრიგალის“ დატოვებისთვის სულ მცირე, იანვრის სატრანსფერო ბაზრამდე მოუწევს მოცდა.

ცხადია, როცდესაც სატრანსფერო გაცვლა-გამოცვლის დრო დადგება, რიკელმეს შეძნას ბევრი უცხოური კლუბი მოინდომებს. ერთ-ერთი შემოთავაზება პრემიერლიგიდან, კერძოდ, „მანჩესტერ სიტიდან“ მოვა. ყოველ შემთხვევაში, ასე ირწმუნება ინგლისური „სანი“.

ალბიონური მედიის თანახმად, სვენ გორან ერიკსონის „სტი“ რიკელმეთი მართლაც სერიოზულად არის დაინტერესებული. „სანი“ წერს, რომ ერიკსონს ერთი სული აქვს, სანამ არგენტინელ ვარსკვლავს იყიდის. „მანჩესტერ სიტის“ მეპატრონე ახლა ტაილანდელი მილიონერი ტაქსინ შინავატრაა. ამ კაცმა გუნდის გაძლიერებისთვის ბლომად ფული გაიღო და რომის გადმოსაბირებლადაც ჯიბეზე ხელს უშურველად გაიკრავს.

რიკელმეს უთვალთვალებს მადრიდის „ატლეტიკოც“. „კალდერონზე“ არგენტინელის მიყვანა ზაფხულშიც უნდოდათ, მაგრამ მაშინ „ვილიარეალთან“ საქმე ვერააწყვეს და, სავარაუდოდ, მორიგ სატრანსფერო იერიშს იანვარში განახორციელებენ.

მაგრამ, ზამთრამდე რაღა ქნას რომიმ? მანუელ პელეგრინიმ პრიმერას მეორე ტურში „რეალთან“ ჯახში არგენტინელი განაცხადშიც კი არ შეიყვანა. იჯდა რიკელმე „მადრიგალის“ ტრიბუნაზე და უმწეოდ შესცქეროდა, როგორ ანადგურებდნენ კასტილიელები „ვილიარელას“ (ის მატჩი „რეალმა“ 3:0 მოიგო). მიუხედავად წაგებისა, პელეგრინის წარბი არ შეუხრია და ჯიქურ გამოაცხადა, რიკელმეს მოედანზე ერთ ტურნირზეც არ გავიყვანო.

ასე რომ, არგენტინელი ფორმასაც დაკარგავს და ადგილსაც მშობლიურ ნაკრებში. აიკი გააფრთხილა „ალბალესტეს“ თავკაცმა ბასილემ, თუ კლუბში არ ითამაშებ, შენთვის ეროვნული გუნდის კარიც დაიხურებაო. სხვა სიტყვებით, რიკელმეს სატრანსფერო შემოთავაზებების ყურადღებით განხილვა მართებს.

**ლადო ხომერიკი**



# პირველ თვეს პირველი



**ფერნანდო ტორესი** „ლივერპულის“ გულშემატკივრებმა გასული თვის საუკეთესო ფეხბურთელად აღიარეს. გამოკითხვა „ლივერპულის“ ვებგვერდზე მოეწყო. ფანთა უმრავლესობამ აგვისტოში „წითლების“ საუკეთესო მოთამაშედ „ელ ნინიო“ დაასახელა.

ტორესი ახლა ესპანეთის ნაკრებთანაა, ევრო 2008-ზე ლატვიასთან მატჩისთვის ემზადება. „ატლეტიკოს“ ყოფილმა კაპიტანმა თავი არც ინგლისში შეირცხვინა და ახალ ჩემპიონატში შესანიშნავად გააგრძელა თამაში.

„ელ ნინიომ“ „ლივერპულში“ თავისი ძველი ოცნება აისრულა და ჩემპიონთა ლიგაზშიც ითამაშა. ხსენებულ გამოკითხვაში კი „ლივერპულის“ გულშემატკივართა 44 პროცენტი დადგა ფერნანდოს მხარეს. მეორე ადგილზე ჯერმან პენანტი გავიდა (15%), ხოლო მესამეზე ასევე ესპანელი ალვარო არბელოა (5%).

„ლივერპულის“ ახალ „ცხრიანს“ „წითლების“ ლეგენდარულ სარბიელზე 19 აგვისტოს „ჩელსისთან“ ბრწყინვალე დებიუტი ჰქონდა. იმ მატჩში ფერნანდომ პრემიერლიგაში თავისი პირველი გოლი შეაგდო. საერთო ჯამში კი უკვე სამი გაიტანა, „დერბისთან“ უხვგოლიან გამარჯვებაში (6:0) 2 გოლი ტორესის ანგარიშზეა.

**ლადო ხომერიკი**

კალათბურთი



## ევროპის ჩემპიონატი

ესპანეთი. 3-16 სექტემბერი. მეორე ჯგუფური ეტაპი

მეორე ჯგუფური ეტაპი. E ჯგუფი

პორტუგალია 94:85 ისრაელი

საბერძნეთი 81:78 ხორვატია

რუსეთი 69:81 ესპანეთი

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ პოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ქორქოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge